ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

4 ივლისი ხუთშაბათი 1991 № 77 (11710)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


## ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტის წერილი

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტმა არმანდო სობრალ როლემბერგმა შემდეგი წერილით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას:

„პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

ჟურნალისტის პროფესიის თავისუფლად შესრულების შესაძლებლობა პრესისა და სიტყვის თავისუფლების განხორციელების ძირითადი პირობაა, ურომლისოდაც შეუძლებელია დემოკრატია.

როგორც ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი, ამიტომ მოვალე ვარ პროტესტი განვაცხადო იმ შეზღუდვების წინააღმდეგ, რომლებსაც განიცდიან ჟურნალისტები ანთელავა და მიქაძე, „ვზგლიადისა" და „მოსკოვსკიე ნოვოსტის" კორესპონდენტები და რადიო „თავისუფლების" შტატგარეშე კორესპონდენტები თავზელიძე, ელიგულაშვილი და ფოფხაძე.

იმედი მაქვს, რომ თქვენ ჩაერევით, რაც უზრუნველყოფს საქართველოს, საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისათვის სიტყვის თავისუფლებას თავისუფალი და პლურალისტური პრესის მეშვეობით".

წერილის ტექსტი საქდესმა მიიღო სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირისაგან.

(საქდესი).

## ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტს

ბატონ არმანდო სობრალ როლემბერგს.

პატივცემულო ბატონო როლემბერგ!

თქვენს დეპეშაზე პასუხად, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის დავალებით, პატივი მაქვს გაცნობოთ შემდეგი:

კომუნისტური დიქტატურის გაუქმების შემდეგ სიტყვის თავისუფლება და პრესის თავისუფლება საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ფუძემდებელი პრინციპები გახდა.

საქართველოში, მთავრობისა და ოფიციალურ გამოცემებთან ერთად, გამოდის ათობით დამოუკიდებელი თუ ოპოზიციური გაზეთი და ჟურნალი, კრიტიკული სტატიები იბეჭდება ყოველგვარი ცენზურის გარეშე, რომელიც დიდი ხანია გაუქმებულია, კერძოდ ოფიციალურ გამოცემებშიც, მოქმედებს ორი დამოუკიდებელი საინფორმაციო სააგენტო. საქართველოში ვრცელდება აგრეთვე არარეგისტრირებული ოპოზიციური გამოცემები, რომლებიც იბეჭდება რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს მთავრობა ფრიად დაინტერესებულია რესპუბლიკაში მიმდინარე ყველა პროცესის შესახებ მართალი, ობიექტური ინფორმაციის გავრცელებით. ამასთან დაკავშირებით ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კორესპონდენტებს შევუქმნათ მუშაობის ნორმალური პირობები, უზრუნველვყოთ მათთვის თავისუფალი მისვლა ყველა რეგიონში.

ამის თვალსაჩინო მაგალითი შეიძლება იყოს ღონისძიებანი, რომლებიც განხორციელდა საერთაშორისო კონტროლის, მათ შორის პრესის მხრივ კონტროლის უზრუნველყოფისათვის საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმის, აგრეთვე პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების დროს.

რაც შეეხება თქვენ მიერ ჩამოთვლილ ჟურნალისტებს, ჩვენ სამსახურს არა აქვს კონკრეტული ინფორმაცია ოფიციალური ორგანიზაციების თუ კერძო პირთა მხრივ მათი დევნის, ანდა მათი პროფესიული საქმიანობის შეზღუდვის მიზნით მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შემთხვევების შესახებ.

ამავე დროს მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმას, რომ საქართველოში აგრეთვე, როგორც ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში, ჟურნალისტური ეთიკის და იმთავითვე ყალბი, ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესები და რეპუტაცია მართლმსაჯულების მეშვეობით. ამიტომ ცილისწამებისაგან დაცვის მიზნით სამართალდამცავ ორგანოებში მიმართვის შემთხვევები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჟურნალისტთა პროფესიული უფლებების შეზღუდვად.

აგრეთვე ცხადია, რომ საქართველოში მოქმედებს ჟურნალისტთა აკრედიტაციის საყოველთაოდ მიღებული წესები, რომლებიც ოფიციალურად უნდა წარმოადგენდნენ საზღვარგარეთულ გამოცემებს, საინფორმაციო სააგენტოებს, ტელე და რადიოკომპანიებს. ამასთან, ჰქონდეთ შესაბამისი უფლებამოსილებანი და მოწმობანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მონაწილეობას ვერ მიიღებენ პრეზიდენტისა და სხვა ოფიციალურ პირთა პრესკონფერენციებში.

პრეზიდენტის პრესის სამსახური აგრეთვე დახმარებას არ გაუწევს იმათ, ვინც უხეშად არღვევს საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს, რომლებიც დამკვიდრებულია იუნესკოს 1983 წლის აქტში „ჟურნალისტთა პროფესიული ეთიკის საერთაშორისო პრინციპები", გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციაში „ყალბი და დამახინჯებული ინფორმაციის უარყოფის საერთაშორისო უფლების შესახებ" და სხვა აქტებსა და კოდექსებში, განზრახ ამახინჯებს მიღებულ ინფორმაციას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო უახლოეს მომავალში განიხილავს ახალ კანონს პრესის შესახებ, რომელიც შექმნის მტკიცე სამართლებრივ საფუძვლებს მისი თავისუფალი ფუნქციონირებისათვის, სავსებით არეგლამენტებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკების როგორც უფლებებს, ისე მოვალეობებსაც, ამავე დროს, ჟურნალისტთა პროფესიული უფლებების დარღვევის თუ შეზღუდვის არც ერთი კონკრეტული ფაქტი არ დარჩება სათანადო ყურადღების გარეშე.

პატივისცემით,

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესის სამსახურის ხელმძღვანელი**

**არჩილ ჭირაქაძე.**

**1991 წ. 28 ივნისი.**

## კონსტანტინე გამსახურდიას საიუბილეოდ

**1993 წელს** სრულდება ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 100 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით შეიქმნა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის საიუბილეო ღონისძიებათა მომწყობი კომისია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ბესარ გიგინეიშვილის თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში არიან ქართული კულტურისა და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები, სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელები, მწერლები, ჟურნალისტები. ეს თარიღი აღინიშნება როგორც მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ნათელი დღესასწაული.

საიუბილეო ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებულია კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა მრავალტომეულის, მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მონოგრაფიის, საიუბილეო ბუკლეტის, პლაკატისა და ერთჯერადი გაზეთის გამოცემა. იუბილესათვის მზადების პერიოდში აბაშის რაიონის სოფელ ძველ აბაშაში განხორციელდება მწერლის სახლ-მუზეუმის მშენებლობა, კეთილმოეწყობა მისი ტერიტორია, ასევე მუზეუმში მოეწყობა ექსპოზიცია. საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტში გადაიღებენ სატელევიზიო ფილმს ჩვენი საამაყო მწერლის შესახებ.

სამშობლოზე მარად დაფიქრებული და მისი უმდიდრესი ისტორიის მემატიანის სახე აისახება საიუბილეო მედალზე.

რესპუბლიკის თეატრები საიუბილეო დღეებისათვის განახორციელებენ კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლების დადგმას.

საიუბილეო სხდომა გაიმართება მწერლის მშობლიურ რაიონში — აბაშაში.

ჩვენი ეროვნული კულტურის ჭეშმარიტ მშვენებასა და სიამაყეს მიუძღვნის საიუბილეო სხდომას საქართველოს მწერალთა კავშირი.

იუბილესათვის მზადების დღეებში მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მასალები გამოქვეყნდება იუნესკოს ბეჭდურ ორგანოებში, ასევე რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. გაიმართება ამ დღის აღსანიშნავი მასობრივი ღონისძიებები.

საიუბილეო დღეების გვირგვინი იქნება საიუბილეო საზეიმო დღესასწაული, რომელიც გაიმართება 1993 წლის 15 მაისს, თბილისში.

მდაბლად დავუხაროთ თავი დიდი მწერლის ხსოვნას, მუხლი მოვიყაროთ მისი სათაყვანო საქართველოს წინაშე, მადლობა ვუთხრათ მას კონსტანტინე გამსახურდიასათვის და გავიმეოროთ მწერლის სიტყვები: „კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა"...

საქინფორმი.

## საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის

# ბრძანება

**საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სამხედრო გარნიზონებში წესრიგის, დისციპლინის და ორგანიზებულობის დაცვის მიზნით**

**ვბრძანებ:**

1. საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქალაქში, სადაც განლაგებულია საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სამხედრო ნაწილები, ჩამოყალიბდეს საკომენდანტო სამსახური, რისთვისაც დაინიშნონ:

— ქ. თბილისის სამხედრო გარნიზონის უფროსად — პოლკოვნიკი **ავთანდილ ცქიტიშვილი**,

— ქ. თბილისის სამხედრო გარნიზონის კომენდანტად — ბატონი **გელა ლანჩავა**.

— ქალაქებში, სადაც განლაგებული არიან სამხედრო ნაწილები, სამხედრო გარნიზონების უფროსებად დაინიშნონ ამ ნაწილების მეთაურები.

2. სამხედრო გარნიზონების უფროსებმა საგარნიზონო-საკომენდანტო სამსახურის ჩამოყალიბებისათვის დანიშნონ შტატგარეშე სამხედრო გარნიზონების კომენდანტები და სისტემატური კონტროლი გაუწიონ მათ მიერ ფუნქციური მოვალეობის ზუსტად შესრულებას.

3. ბრძანება გაეცნოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდიის პირად შემადგენლობას.

**საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე, სარდალი თენგიზ კიტოვანი**

## საერთაშორისო ცხოვრება

იუგოსლავიის ფედერალური არმიის შტაბის უფროსმა გენერალმა აჯიჩმა გამორიცხა სლოვენიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების შეწყვეტის შესაძლებლობა მას შემდეგ, რაც სლოვენიის ლიდერები და იუგოსლავიის ფედერალური პრეზიდენტი სტიპე მესიჩი შეთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტაზე ამ უკანასკნელის ლიუბლიანაში ვიზიტის დროს.

საინფორმაციო სააგენტოს მოჰყავს გენერლის სიტყვები იმის შესახებ, რომ შერიგებისათვის უკვე ძალიან გვიანია. როგორც ჩანს, არმია მთავრობის კონტროლს უკვე აღარ ექვემდებარება და საკუთარი შეხედულებებისამებრ მოქმედებს.

პრაღაში ჩატარდება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საგანგებო სხდომა, რომელიც იუგოსლავიის კრიზისს განიხილავს. შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ მზადაა მხარი დაუჭიროს ხორვატიისა და სლოვენიის დამოუკიდებლობას, თუ ეს მიზანი მიღწეულ იქნება მშვიდობიანი გზით. როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარგარეტ ტატუაილერმა განაცხადა, აშშ მხარს დაუჭერს ხალხის მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას.

იუგოსლავიის ფედერალური არმია ბრძოლებს აწარმოებს ხორვატიაშიც. ხორვატიის მთავრობა ცდილობს მიაღწიოს გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სესი-

(დასასრული მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღია წერილი

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის და ეკოლოგიის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი ჩხეიძეს**

**წერილს** ყველასათვის ცნობილი ფაქტების შეხსენებით დავიწყებთ.

საბჭოთა კავშირში მეცნიერების მართვა ხორციელდება ყოვლად გაუმართლებელი ცენტრალიზებული წესით, არაკომპეტენტურად და არც თუ ანგარების გარეშე. მეცნიერებათა აკადემიები (ლაპარაკია მეცნიერების მართვის უმაღლეს ეშელონებზე, ელიტაზე, კერძოდ, აკადემიების პრეზიდიუმებზე და არა სამეცნიერო ინსტიტუტებზე, მათ კოლექტივებზე) თავიანთ რიგებს ივსებენ ადმინისტრატორ-კონფორმისტებით (ან ასეთებად გადააქცევენ შემოქმედ მეცნიერებსაც), რათა უკონტროლოდ, მბრძანებლურად მართონ მეცნიერების დარგები და მეცნიერ-მუშაკების ბედი.

მეცნიერთა ფეოდალური სტრატიფიკაცია, რომელსაც სსრკ-ში აქვს ადგილი, თავისთავად უზნეობაა და ეს უზნეობა შესანიშნავად არის ჩაწერილი საბჭოთა მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემაში. აკადემიები ყოველთვის იყო და დღესაც რჩება ამ სისტემის მთავარ დასაყრდენად. გავიხსენოთ რეპრესიები ბიოლოგიაში (გენეტიკაში), კიბერნეტიკაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. გავიხსენოთ ბამ-ი, არალის ზღვა, ურალი, გიგანტური ჰეს-ები და ათასი სხვა, რამაც ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიიყვანა ქვეყანა. ამ ღონისძიებებისა და პროექტების შემუშავებასა და რეალიზაციაში ლომის წილი უდევთ სწორედ აკადემიებს.

ამჟამად თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ კიდევ ერთი, ახალი ბიუროკრატიულ-სამეცნიერო სტრუქტურის — საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის — შექმნის ფაქტზე.

ყველასათვის ნათელია, რომ აქამდე არსებულმა აგროსამრეწველო კომიტეტის მეცნიერული უზრუნველყოფის ცენტრმა და საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის (ვასხნილი), ამიერკავკასიის რეგიონალურმა განყოფილებამ (ორთავე ამ უწყებას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს ვ. მეტრეველი) უმთავრესი როლი შეასრულეს საქართველოს სოფლის მეურნეობის განადგურების, საქართველოს ტერიტორიის, მისი ნიადაგის, წყლის, ჰაერის გლობალური ქიმიური მოწამვლის საქმეში. სწორედ ამ დრომოჭმული სტრუქტურების რეანიმაციით სურს გადაირჩინოს თავი აგრარული მეცნიერების უმაღლეს ბიუროკრატიულ ეშელონში მოკალათებულ ელიტას, საზოგადოების მოტყუებით და თვალის ახვევით, ეროვნული დროშის ფრიალით შეინარჩუნოს ძველებური მართვის სადავეები და აქედან გამომდინარე პრივილეგიები.

ამ ე. წ. ეროვნული აკადემიის შექმნის ორგანიზატორების მორალურ სახეზე კარგად მეტყველებს ისიც, თუ როდის, რა ვითარებაში მოხდა აკადემიის ჩაწყობა-გაფორმება. ყველაფერი ეს გაკეთდა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების წინა და მომდევნო დღეებში. სწორედ იმ დღეებში, როდესაც ხანგრძლივი ეროვნული ჩაგვრითა და უსამართლობით გაწამებულ და თითქმის იმედგადაწურულ ქართველ ხალხს უნდა მიეღო საბედნიერო ან საბედისწერო არჩევანი. გავიხსენოთ იმ დღეებში ქართველი ხალხის გარეგნულად თითქოს მშვიდი, მაგრამ შინაგანად უაღრესად დაძაბული მდგომარეობა.

აი, სწორედ აქ იხელთეს დრო ვ. მეტრეველმა და მათმა გარემოცვამ. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მინისტრთა საბჭო, რომლის დღეები დათვლილი იყო, ღებულობს დადგენილებას აკადემიის შექმნის შესახებ. 28 ოქტომბერს ეს ფაქტი აუწყა საზოგადოებას გაზეთმა „კომუნისტმა“.

ეს გაფორმებაც მოხდა ფაქტიურად უკანონოდ, ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე: წინასწარ არ გამოქვეყნებულა და არ განხილულა აკადემიის წესდება, დამფუძნებელი კრების შესახებ ინფორაცია არ ყოფილა პრესაში და ტელევიზიაში, სამეცნიერო დაწესებულებებში არ ჩატარებულა კრებები დელეგატების დასასახელებლად. აკადემიის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა ალტერნატიული კანდიდატების დასახელების გარეშე.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად, რასაკვირველია, არჩეულ იქნა იგივე ვ. მეტრეველი.

ეხლა ვნახოთ, ვინ დგას ამ აკადემიის უკან, ვისი პირმშოა იგი?

პირველ რიგში ეს არის ბატონი ვალერიან მეტრეველი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში სათავეში უდგას საქართველოს აგრარულ მეცნიერებას ჯერ როგორც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, ხოლო შემდგომ — ვასხნილ-ის ფილიალის თავმჯდომარე, სპეციალობით ენერგეტიკოსი, საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დიპლომით.

ვ. მეტრეველი, თავად საეჭვო მეცნიერული რეპუტაციის მქონე პიროვნება, ხელს კი არ უწყობდა აგრარული მეცნიერების წინსვლას, არამედ, პირიქით, დევნიდა აგრობიოლოგიური მიმართულებით მოღვაწე კანტი-კუნტად შემორჩენილ ჭეშმარიტ მეცნიერებსა და მამულიშვილებს, რომლებიც ცდილობდნენ სოფლის მეურნეობის ტოტალური ქიმიზაციის დამღუპველი შედეგების შენელებას.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ვ. მეტრეველმა გააუქმა ფიტოპათოლოგიის, აგრომეტეოროლოგიის კათედრები. ამ პერიოდიდან იწყება მეცნიერული კვლევების დაკნინება მებრეშუმეობის დარგში. ამ მიმართულებების ხარჯზე, თავისი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, შექმნა ელექტროფიკაციის ფაკულტეტი, რომლის გამოყოფას მექანიზაციის ფაკულტეტიდან არავითარი გამართლება არ ჰქონდა.

ხოლო რაც შეეხება მის მოღვაწეობას „საქსახაგრომრეწვის“ მეცნიერული უზრუნველყოფის ცენტრის ხელმძღვანელად, ჩვენ ამ ფაქტის კომენტარზე თავს ვიკავებთ, ეს თავად ეტყობა საქართველოს სოფლის მეურნეობის დღევანდელ მდგომარეობას.

დაბოლოს, ეს ის პიროვნებაა, რომელიც 1989 წლის 10 აპრილს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს ტელევიზიით გამოეცხადა წინა დღით ტრაგედიით გაოგნებულ ქართველ ხალხს და განაცხადა, რომ ის, როგორც ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების თავმჯდომარე, ახლოს არის ბევრ რუს სპეციალისტთან, რომ მას რცხვენია თავისი კოლეგებისა ქართველების საქციელის გამო და არ იცის რა უპასუხოს მათ, რითი იმართლოს თავი.

აი, ასეთია ამ პიროვნების პორტრეტი, რომელიც დღეს ულოცავს ქართველ ხალხს ეროვნული აკადემიის აღდგენას. მაგრამ აქ მარტო ვ. მეტრეველის პიროვნებაში არ არის საქმე. მიგვაჩნია, რომ აკადემიის აღდგენა და შექმნა არ არის საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინების გზა. უკვე ითქვა, რომ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია არის უსარგებლო, პარაზიტული სტრუქტურა, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვება საქართველოს ისედაც გამოფიტულ ბიუჯეტს.

აკადემიის, როგორც ყოველმხრივ გაუმართლებელი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სტრუქტურის, შექმნის საწინააღმდეგოდ გამოითქვა და გამოქვეყნდა სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მწვანეთა მოძრაობა, რუსთაველის საზოგადოება, მიწათმოქმედთა კავშირი და სხვა), აგრეთვე ცალკეულ მეცნიერთა და სპეციალისტთა დასაბუთებული მოსაზრებები.

ჯერ კიდევ 1990 წლის 30 აპრილს მინისტრთა საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს ნ. ჩითანავას გადაეცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის წერილი სოფლის მეურნეობის აკადემიის შექმნის მიზანშეუწონლობის შესახებ.

იგივე წერილის ასლი გადაეცა საქართველოს ახალ მთავრობას ამ მცირე ხნის წინ. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა უარყოფითი მოსაზრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე ა. წ. 17 ივნისს.

გასული წლის 26 დეკემბერს ეს საკითხი განხილულ იქნა თქვენდამი დაქვემდებარებული კომისიის სხდომაზე, სადაც ვერ იქნა დასაბუთებული აკადემიის შექმნის აუცილებლობა. საკითხის განხილვა გადაიდო აკადემიის ალტერნატიული სტრუქტურების განხილვის საბაბით. ალტერნატიული ვარიანტები დროულად წარედგინა კომისიას. მოსალოდნელი იყო, რომ 10 იანვრისათვის დანიშნული აკადემიის არჩევნები გადაიდებოდა საკითხის ფართო განხილვამდე. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ბატონო ირაკლი! თქვენ ჩვენზე უკეთ მოგეხსენებათ, თუ რა გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრი ყველა იმ ქვეყანაში, რომელსაც აქვს პრეტენზია იყოს დემოკრატიული. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საზოგადოებრივ აზრს დღევანდელ მდგომარეობაში. ხალხი დაიღალა ამდენი წლის უსამართლობით, ძლიერთა თვითნებობით. ის იმედით შეჰყურებს მის მიერ არჩეულ ახალ ხელისუფლებას. საზოგადოება ძნელად ეგუება იმ ფაქტს, რომ ძველი სტრუქტურების მოშლის პროცესები ნელა მიდის. განსაკუთრებით აღიზიანებს მას სახელგატეხილი ორგანიზაციების და პიროვნებების ახალი აღზევება.

იმედს გამოვთქვამთ, თქვენ შესაძლებლად მიიჩნევთ პრესის საშუალებით გამოხატოთ თქვენი და თქვენდამი რწმუნებული კომისიის საბოლოო პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ეს უეჭველად ხელს შეუწყობს უზენაესი საბჭოს, როგორც ახალი ხელისუფლების ორგანოს პრესტიჟის განმტკიცებას.

**რევაზ ხუნწარია,**
**საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თანათავმჯდომარე.**
**ზურაბ ლოლაძე,**
**საქართველოს მწვანეთა მოძრაობის აგროეკოლოგიური კომისიის თავმჯდომარე.**

# ვულოცავთ!

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 1985 წლის კურსდამთავრებულები ვულოცავთ დაბადების დღეს ბატონ ლევან ალექსიძეს, რომელიც მისთვის ჩვეული ენერგიით და პროფესიული შემართებით გვერდში უდგას ეროვნულ პარლამენტს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე და რომელიც დღესაც, მისი იუბილეს დღეს, მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი დავალების შესასრულებლად არის წასული. ამიტომ გაზეთის საშუალებით გვინდა, ხმა მივაწვდინოთ ბატონ ლევანს, მივულოცოთ ეს დღე, ვუსურვოთ ჯანმრთელობა და დიდხანს, დიდხანს სიცოცხლე.**

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ კოლექტივიც უერთდება ამ მილოცვას და ბატონ ლევანს უსურვებს ყოველივე სიკეთეს და უფრო მჭიდრო კონტაქტებს ჩვენს გაზეთთან.

# საერთაშორისო ცხოვრება

(დასასრული)

ის მოწვევას, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.

●

პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ ვალენსა 1ივლისს სიტყვით გამოვა ბრიუსელში, ნატოს შტაბ ბინაში, ვარშავის ხელშეკრულების დათხოვნიდან ორი დღის შემდეგ. ვალენსა მეორე აღმოსავლეთევროპული ქვეყნის ლიდერია ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის შემდეგ, რომელიც ნატოს ხელმძღვანელთა წინაშე გამოვა, თუმცა დასავლეთში გარკვეული სიფრთხილით ეკიდებიან აღმოსავლეთევროპელ პოლიტიკოსთა ცდებს, განამტკიცონ კავშირი ნატოსთან. * გუშინ ნატოს გენერალურმა მდივანმა მ. ვერნერმა კვლავ განაცხადა, რომ ნატოს არ სურს ახალი ევროპის შექმნა საბჭოთა კავშირის გარეშე.

●

გაეროს კომისიამ კვლავ ვერ მოახერხა ერაყის ატომური ობიექტების ინსპექცია. პარასკევს გაეროს უშიშროების საბჭო ამასთან დაკავშირებით მოიწვევს საგანგებო თათბირს. როგორც ტელეკომპანია ეი-ბი-სი იუწყება, აშშ ადმინისტრაციისა და პენტაგონის წარმომადგენლები არ გამორიცხავენ ერაყის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების განახლების შესაძლებლობას, რათა აიძულონ ერაყის მთავრობა შეასრულოს გაეროს რეზოლუციის პირობები სპარსეთის ყურეში ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე.

**ირინა თევდორაშვილი**

# იქმენინ ქართველი

ყოველსა საქმეს „მიაჩანს ჟამი“,
„ჟამი შეტევის, ჟამი სივლტოლვის“
არავის ძალუძს — შეჩერდეს წამი,
დრო ძგერს, ვით კაცის მკერდი ლითონის.

ლოდინის გრდემლზე იწრთობა ხმალი,
ერი, ამ ქვეყნად მარტოდ შთენილი,
იჩოქებს ლოცვად, „იმედით ხვალის“:
იქმენ ნათელი, იქმენ ქართველი.

რა ვქნათ თუ ბედმა გაგვინაპირა,
ხშირად დათმობად არის გმირობა,
მუხლის დადრეკა ცოტნეს ნაირად
სჯობს ზოგჯერ დიდი ომის მოგებას...

ხან სიამაყის ვივლით, ანონსად!
შარლ დე გოლივით თავაწეული.
ხან მოგვიხდება წასვლა კანოსას,
სანამ მძლავრია მტერი წყეული.

თუ გსურს „საწმისის“ წვიმათა თქეშით,
დარბილდეს ირგვლივ კბოდე პიტალო,
მგელიც შევაბათ გამოხსნის კევრში,
მგელს ვალეწინოთ ქართული კალო.

არსაკიძეთა გვხიბლავდეს ვნება,
ყური მივუგდოთ ხანდახან. ფარსმანს,
ბოგინობს ისევ სკვითური ნება,
არც აგვცდეს იქნებ იესოს ჯვარცმა.

მწამს, ამაღლების ციხის გასაღებს
ხმა ზეციური მალე განიშნებს,
ვიპოვით კიდეც გზას, ჯერ გასავლელს,
მხოლოდ სიფრთხილით „დრო, დრო, აღნიშნე“.

ვცდებოდე იქნებ, შენ უკეთ იცი!
რჩევისთვის ნულარ დამემდურები,
მე სისასტიკე მაცოფებს მიწის,
შენ თვით ზეცასაც ესაუბრები.

გადაიქროლებს ჭირთა თმენანი,
ავლორძინდებით ნერგად ედემის,
გამოვფხიზლდებით ლამენათევი,
დარეკავს ჟამი მძლავრი შეტევის.

ჩამოეშვება გრაალის თასი,
კვლავ ავენთევით მზის სიკასკასით,
შემოეცლება მახვილს ქარქაში,
გახდება ბასრი, როგორც ალმასი.

და ანგელოსთა დაგვლოცავს დასი,
იქმნენ ქართველი,
იქმნენ ნათელი.

**ლოვარდ ტუხაშვილი**

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრის“**

# განცხადება

პარასკევს, 5 ივლისს, 18 საათზე გაიმართება „დემოკრატიული ცენტრის“ მორიგი სხდომა.

დღის წესრიგი:
1. უზენაესი საბჭოს სესიის სხდომების ალტერნატიული რეგლამენტის განხილვა;
2. საკითხი მიწის შესახებ;
3. სხვა პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობის პოლიტიკური და ორგანიზაციული ფორმების შესახებ;
4. აჭარაში მიმდინარე არჩევნების პირველი ტურის შედეგები;
5. სხვადასხვა.

**თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის აბიტურიენტთა საყურადღებოდ!**

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ამა წლის 7 ივლისს დილის 11 საათზე შედგება აბიტურიენტთა შეხვედრა საგნობრივი საგამოცდო კომისიების თავმჯდომარეებთან (მედქალაქის I სასწავლო კორპუსი, III სართული).**

**მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 29.**

**მიმღები კომისია.**



ედიშერ ჯანჯულიას სტუდენტობიდან ვიცნობ. მახსოვს, სხვა სტუდენტებივით ისიც როგორ მთელი არსებით თანაუგრძნობდა ეროვნული სულის გამოღვიძებას ჩვენში, თვითონაც ცდილობდა შეძლებისამებრ რაიმე წვლილი შეეტანა მასში.

1989 წელს ედიშერმა წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი და თავის რაიონში დაბრუნდა. იქ იგი თავდაპირველად დემოკრატიული საზოგადოების თავმჯდომარედ მუშაობდა, ხოლო შემდეგ რაიონში მის მიერვე დაარსებული ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარედ. მარშან ედიშერი უზენაესი საბჭოს დეპუტატად

# ბუნებით ოპტიმისტი ვარ

აირჩიეს. ამან მაშინვე ერთი ამბავი გამახსენა: სტუდენტობისას თავის სამუშაო მაგიდასთან ედიშერს 1918 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაცია ეკიდა. რამდენჯერ გვინატრია მასზე ხელისმომწერთა ბედი. მაშინ რას წარმოვიდგენდი, იგივე ბედნიერებას ედიშერსაც თუ არგუნებდა განგება.

დღეს იგი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი და გალის რაიონის პრეფექტია. ეს მძიმე ტვირთია, მაგრამ ერთი რამ მჯერა: ასეთ ადამიანს შეუძლია საპირო, ეროვნული საქმეების კეთება, რასაკვირველია, სხვების თანადგომით.

— ბატონო ედიშერ, აფხაზეთში პრეფექტის ინსტიტუტის შემოღებას თან მთელი რიგი წინააღმდეგობანი ახლდა, მაგრამ ახლა თუ ისე, ეს ბარიერები თანდათან ილახება. თქვენ ჯერჯერობით ერთადერთი პრეფექტი ხართ მთელ აფხაზეთში, ცხადია, ეს მოვლენა ორმაგად მოითხოვს და გონივრულად განხილულ ნაბიჯების გადადგმას გავალდებულებთ, რათა ავად მოდარაჯე თვალს ზედმეტი ხელჩასაჭიდი საბაბი არ მიეცეს. ამიტომ ნუ მიწყენთ, თუ ცოტა ტრადიციული შეკითხვით — ხაინტერესოა, რით დაიწყეთ, ძველი კადრების მოხსნით?

— არა, მოხსნით ნამდვილად არ დამიწყია. მე ეკონომისტი ვარ და, ბუნებრივია, ჩემი პირველი ნაბიჯები რაიონის ეკონომიკური პოტენციალის გარკვევას დაუკავშირდა. პირველივე დღეებში დავიწყე რაიონის შედარებით სრულყოფილი ეკონომიკური ანალიზის კეთება. სიმართლე გითხრათ, ვერც კი წარმომედგინა, თუ ასეთი სამწუხარო ფაქტები წარმოჩნდებოდა. თურმე ამ მხრივ მეურნეობების, რომელთაც რაიონისათვის, მართლაც, დიდი საქმის გაკეთება შეეძლოთ, მხოლოდ ზარალი მოაქვთ. თანაც აშკარა იყო ე. წ. მიწერების დიდი რაოდენობა. ამიტომ გამოსავალი, ჩემი აზრით, მხოლოდ იჯარაში იყო. თუმცა ამას გარკვეული წინააღმდეგობები ახლდა თან.

მოკლედ, გადავედით იჯარაზე. დღეს რაიონში მიწის ყოველი გოჯი იჯარითაა გაცემული, ყველაფერზე გეგმაა დაწესებული. მართალია, გეგმა ახლა მოდაში არაა, მაგრამ ჭერჭერობით აუცილებელია. გავზარდეთ შესასყიდი ფასები ჩაიზე, ციტრუსზე. გლეხს ზედმეტი მოსავალს საკმაოდ მაღალი პროცენტით დანახარჯები ეუნაზღაურება. მაგრამ სიმართლე გითხრათ, გლეხმა ეს ბოლომდე მაინც ვერ მიიღო, და, ალბათ, ვერც გაამტყუნებ — იგი 70 წელი ენდეოდა ხელმძღვანელობას, მაგრამ ხელმძღვანელობისგან გამუდმებით მოტყუებას, ცრუ დაპირებებს. ამიტომაც ყველაფერს ახალს მაინც ეჭვის თვალით უყურებს, მაინც უნდობლად ეკიდება, რატომღაც შემდეგი ჭირის უფრო სჯერა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ჩანაფიქრი ჯერ სანახევროდაც არაა განხორციელებული, შედეგები მაინც სახეზეა. უკვე გამოჩნდა ოჯახები, რომლებიც გამომუშავებს თვეში 6–7 ათას მანეთს იღებენ. თუ ტრანსპორტი ჰყავთ, ჩემი აზრით, ეს პირველი ეკონომიკური ნაბიჯების უმთავრესი მიღწევაა ის მიმართ, რომ შექმნილი გარემოება, ერთი წოდებული „ნარიადების" წერა. ამით ეკონომიკურ წელს კეთების ასპექტი ნაწილობრივ გადაიჭრა. ჩვენი ეკონომიკური რეფორმის შედეგია ისიც, რომ თითქმის ორჯერ შევამცირეთ სისტემური სამეურნეო გეგმა. ცხადია, ამით გლეხმა ამოისუნთქა, მაგრამ სოციალური საკითხი მაინც მწვავედ დგას.

— ფაქტია, რომ ახალ პოლიტიკას შესაფერისი კადრები სჭირდება. დღეს საკადრო საკითხი ბევრი პრეფექტისათვის „ქვაკუთხედ" იქცევა. ხაინტერესოა, როგორ წყვეტთ ამ პრობლემას გალში?

— რაიონში ათობით ხელმძღვანელი პირია. რამდენიმე ყველას მოხსნა არაა გამართლებული, ისინი ხომ სისტემის მსხვერპლნი არიან, ბევრი მათგანი ნაღდი პატრიოტი. ამიტომ უნდა ვეცადოთ მათი გამოყენება, ცოდნის, უნარის სწორ არხებში მიმართვა. პირველ რიგში, ჩემი მიზანი, პირველ რიგში, ამ გზების გადაჭრა, რომლის ხელმძღვანელი კადრები მოსახვედრებლად იოლად იხვეწებენ. როგორც ზემოთ ვთქვი, ჩემი ერთ-ერთი პირველი ნაბიჯიც — გარიგების გაუქმება, აქედან იყო მიმართული.

ვთვლი, ხელმძღვანელობისთვის ბევრი მხარში ამოგვიდგა, ვისაც შევეკითხე, რომ რაიონს, საქმეს არ გამოადგებოდა, დავითხოვეთ.

— ხაინტერესოა, გალელ კომუნისტთა პოზიცია. ფაქტია, რომ აფხაზეთის პარტიული ორგანიზაცია ჯერაც გარბისების ამდიაშია, ჭერაც ცენტრისკენ უჭირავს თვალი. ბუნებრივია, ეს გარკვეულ წინააღმდეგობებს შექმნიდა.

— დღეს რაიონში სამი-ოთხი ათასი კომუნისტია. სოციალიზ, მაგრამ მათ უკვე აშკარად გამოხატეს თავიანთი პოზიცია, როცა პრეზიდენტის არჩევნებისას ჭამი მოქალაქე გალში მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ჩხუბი მოიღო.

სიმართლე გითხრათ, რაიონში მათზე უფრო დიდ პრობლემებს თანამდებობის მაძიებელი მედროვეები ქმნიან. მომცმის ამას სავირო, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. მიუხედავად ამისა, მე მჯამს, რომ ჩემი შემოსვლიდან რაიონის ცრემლიანი, გულმოდგინეობით საზოგადოებრიობის უმეტესი ნაწილი, მართლაც, ჯანსაღი ნაწილი, მხარში ამოგვიდგა და დაგვეხმარება ჩვენს მიერ აღებული ეროვნული გეზის სამართლიანობაში. იცით, შეიძლება ითქვას, რომ ამ მძიმე გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგა, უკვე იგრძნობა დიდი შემობრუნების დასაწყისი.

— ალბათ, ამაში გალის ახალგაზრდობასაც ექნება დიდი წვლილი. რას ფიქრობთ მათზე?

— რა თქმა უნდა, დიდია მათი წვლილი და მე ეს ძალიან მიამაყებს კიდეც. გალელი ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი ჩვენი სამსახურის დასაყრდენია. ნაწილი კი, სამწუხაროდ, მაინც ინდიფერენტულია, მაგრამ ჩვენ გვჯერა იმისა, რომ ისინიც მალე გვერდში დაგვიდგებიან.

— ბატონო ედიშერ, სხვა რა შეიცვალა რაიონში ამ ოთხი თვის განმავლობაში?

— ვაპირებთ სტრუქტურების შეცვლას ვაპირებთ. ჩემი აზრით, ეს საქმიან ეფექტური იქნება. ცხადია, ეს არ ეხება კერძო კომერციულ სტრუქტურებს. მათ შექმნას, განვითარებას ყველანაირად ხელს ვუწყობთ. თავისუფალი ბაზარი ჩვენი მომავალია. საქმიან ხალხს დიდ გზა უნდა გავუხსნათ. თუ მოჩვენებით სახელმწიფოებრივ მანქანა-დანადგარების ჩამოტანა, საჭიროების განსაზღვრა, ხალხის დაძაბულობა, რა არის ამაში ცუდი? რომელი სახელმწიფო ორგანიზაცია აკეთებს რაიონისთვის ამაზე მეტს? მაგრამ ხალხი ჭერჭერობით ვერ ეგუება კომერციას, სპეკულაციის სინონიმად მიიჩნევს. პარადოქსია, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ეს სამოცდაათი წელი ხალხი სხვათა ხარჯზე ცხოვრობდა.

— რაც უკანონობაზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ ისიც ვიკითხოთ, სამართალდამცავ ორგანოთა მუშაობაში შეიცვალა რამე?

— გალში, სხვა რაიონებთან შედარებით, სტაბილური მდგომარეობაა — ნაკლები დანაშაული ხდება, აქ არც მანქანის ქურდობებია, არც ძარცვა და არც იმდენი მკვლელობები. ცხადია, არის ნაკლოვანებებიც, მაგრამ დღეისათვის ეს სტაბილურობა ძალზე საჭიროა. თუმცა უთუოდ რომ შესამჩნევი, მონოპოლისტური დღეს, უმეტესობა მხოლოდ სამართალდამცავ ორგანოების უნდა იყოს. ამიტომ აბსოლუტურად არ მინდა, რომ გამოცხადება მოგვიწიოს.

— სხვა რა ჩანაფიქრი გაქვთ სამომავლოდ?

— რაიონში შენდება ისეთი სათბური, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს მოამარაგებს ახლიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. ასევე შენდება კომბინირებული საკვების ქარხანა. ეს გლეხს საშუალებას მისცემს მეტი რაოდენობის პირუტყვი იყოლიოს. ჩვენ ხელთ დაგვიდგება საზღვარგარეთიდან ბევრი ჰქონდეს მოვიდა წინადადებებით. მთავარია, როგორი გარემო იქნება მათთვის ხელსაყრელი. მუდმივი ფილიალები, ვისაც ქარ უნდა იყოს ის, ჩვენ არ გვქირდება. ამასთან ვალუტისთვის დაკავშირებულნი საკითხებს მხოლოდ თანდათანობით შეთანხმებით გადავწყვეტთ.

გალს არა აქვს სამშობიარო სახლი. ჩვენ უკვე დავიწყეთ მშენებლობა და, ალბათ, პირველი სექტემბრისათვის იგი მზად იქნება. ჭერ სულ ოთხი თვეა პრეფექტი ვარ. შეუძლებელია ამ დროში 70 წლის განმავლობაში გაფუჭებული საქმის ერთბაშად გამოსწორება. წელს რაიონის მთელი შემოსავალი, — ციტრუსები, თხილი რუსეთში გატანილი დამხდა. ამის საწინააღმდეგოდ მხოლოდ ერთი პროექტში შემოვიდა სხვა საქონლის სახით. მომავალში რაიონიდან ერთ კილოგრამსაც კი ვერავინ გაიტანს პრეფექტურასთან შეთანხმების გარეშე — უნდა ვიცოდეთ, ვის რა გააქვს ჩვენგან და სანაცვლოდ რა შემოაქვს.

— ახლა აფხაზეთის საკითხზე გადავიდეთ. ჩვენთვის ცნობილია ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის თავდაპირველი პოზიცია პრეფექტურის ინსტიტუტისადმი. ხაინტერესოა, ამჟამად როგორია მათი დამოკიდებულება თქვენდამი. თუმცა ის ფაქტი, რომ ისინი გალის რაიონის მოსახლეობის აზრის გაუთვალისწინებლად აპირებენ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერას, მრავლის მეტყველია. და მაინც ეგებ უფრო დაწვრილებით გვიამბოთ რეგიონთან დაკავშირებით.

— იცით, სხვა გამოსავალი ათარ იყო, გალის რაიონსაც უნდა მიეღო საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა. ეს კი, ფაქტობრივად, 54 ათასი ამომრჩევლის „არას" ნიშნავდა. მე თვითონ ჩავედი სოხუმში და მოვითხოვე ბიულეტენები. ასევე შევთავაზე, თუ არ გვენდობოდნენ, ყველა საარჩევნო უბანში თავიანთი მეთვალყურე გამოეგზავნათ. 16 მარტს მოსკოვიდან ჩამოვიდნენ დეპუტატები, მოიპოვებს, ამ რაიონში ხალხი კარგად ინფორმირებული არა ჩანსო და მონაწილეობას უფლება არ მოგვცეს. რეფერენდუმის შემდეგ ბ-მა არძინბამ შეკრება სამეურნეო ხელმძღვანელები (ჯერ ერთი, ეს დეპუტატების საქმეა) და გამოიყვანა — მხოლოდ 52% მიეღოთ და სამოკავშირეო ხელშეკრულებას ხელი უნდა მოეწეროთ.

სად არის სამართალი? განა საკითხავი არ არის, მიიღო თუ არა გალის რაიონმა რეფერენდუმში მონაწილეობა? გალი გაეუბნება თუ არა დღეს იურიდიული აფხაზეთი? რა შეიძლება რომ მაგანი პრეფექტი დანიშნეს არ მოსწონთ. პრეფექტი ერთია, გალის რაიონში კი 83 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ამდენ ხალხს საკუთარ ბედზე აზრი არ უნდა ჰქონდეს?

გალის ოფიციალურ ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დღეისათვის ბატონი არძინბა თავს არიდებს, თითქოს ეს პრეფექტურის აღიარება იქნებოდა მისგან. კი ბატონო, ნუ ცნობს პრეფექტურას, მაგრამ რატომ მაცხ 80-ათასიანი რაიონის თავის მხრიდან ასე უგულებელყოფა?

— რამდენი დეპუტატია გალის რაიონიდან აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში?

— ოცი დეპუტატი, ძირითადად მშრომელი ხალხი. საერთოდ მეიძლება, ითქვას, რომ აფხაზებს შეუძლიათ ნებისმიერი საკითხი გაიტანონ სესიაზე. ვთქვათ, რეფერენდუმთან დაკავშირებით ვერ მოიცვს ხმათა უმრავლესობა. იტყვიან, სეპარატისტულად განწყობილი ქართველები წინააღმდეგნი არიანო, მაგრამ ჩვენ — აფხაზები მხარს ვუჭერთ და ხელს ვაწერთ ხელშეკრულებებს. ვინაა გამტეხავი?

— ალბათ, ელცინის არჩევა რუსეთის პრეზიდენტად თავის როლს შეასრულებს და ის აფხაზები, ცენტრს რომ ემხრობიან, თანდათან შეიცვლიან პოზიციას.

— სხვა გამოსავალი ვერ ეხედავ — ცენტრი უნდა დაიშალოს. მე შევხვდი ჩვენს საზღვაო წყალგამყოფელ ჩვენ თქვენ აფხაზებს. იძახდნენ, არ გვინდა ბურჟუაზიული წყობილებაო. როცა მათ შევეკითხე, სად მუშაობდნენ და რამდენი ჭამდნენ შემოსავალი, აღიარეს რომ ეს სიღუხჭირე სისტემის ბრალი იყო. ისინი არ მალავენ, რომ ბევრ რამეში ბოლომდე არ ეცნობინებთ ქართველებს. მე მათ რუსეთის მიერ აფხაზეთის თურქეთში გადასახლება გავახსენე. სწორი ბრძანდებოდით, მითხრეს. ალბათ, აფხაზებმა არ იციან, ასე მოელის მათ გადასახლებაზე. უბრალო აფხაზი ხალხი ხომ არაფერ შუაშია. მისი აზრიც სისტემური რაღაც ექნებოდა, ზოგ წრეებში წყობის ხელსაყრელ შედეგები. ამის სილუსტრაციად ასეთ ფაქტს გეტყვით: გალის რაიონში 200 ამომრჩეველი აფხაზი ცხოვრობს. მათ საწინააღმდეგო რომ არ ყოფილიყო — ამბობენ გუშინ თუ ასე კარგად ვიყავით, დღეს რა დაგვემართა. ამ აფხაზებიდან 99,1 პროცენტმა ბატონ ზვიად გამსახურდიას მისცა არჩევნებისას ხმა.

— ბატონო ედიშერ, რისი იმედით დაიწყეთ და რისი იმედი გაქვთ მომავალში? ფილოლოგი რომ იყოთ, ამ შეკითხვას არც დაგისვამდით.

— ბუნებით ოპტიმისტი ვარ, მჯერა, სხვა თუ არაფერი, ჩემი ოჯახის წევრების ლოცვა მაინც დამიფარავს. კიდევ, ხალხის იმედი მაქვს, მისი თანადგომისა.

ეკონომისტი კაცი ვარ და მჯეროდა, ამ სფეროში ისეთ შეცდომებს არ დავუშვებდი, რაიონისათვის ზიანი რომ მომეტანა. შეიძლება დამიბრალოთ შეცდომებისგან დაზღვეული კი ვერ არის... მე ასე მჯამს — პრეფექტი რომ არ ვიქნები, უნდა შემეძლოს ყველას თვალებში გავუსწორო თვალი. ბოლომდე მართალი დავრჩე ყველასთან. ბოლოს და ბოლოს არა მაქვს უფლება, შევარცხვინო ისინი, ვინც ამ თანამდებობაზე დანიშვნით უდიდესი ნდობა გამომიცხადა.

ესაუბრა მაია ოჩიგავა
შალვა გოგიძის ფოტო

**სარედაქციო მინაწერი:** ეს ინტერვიუ დასაბეჭდად მზად იყო, როცა გალში ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგის მონაწილეთა გადაწყვეტილება ერთსულოვანი იყო: ამ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის ხელისუფლება ხელს მოაწერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, გალის რაიონის მოსახლეობა გამოაცხადებს ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობისადმი დაუმორჩილებლობას.

ჩვენ ისევ დავუკავშირდით გალის რაიონის პრეფექტს და ამ ფაქტის სრული კომენტარი ვთხოვეთ. ედიშერ ჯანჯულიამ გვითხრა, რომ 27 ივნისს გალში ჩატარდა ამ სამეურნეო ხელმძღვანელთა შეკრება, რომელთაც ბ-მა არძინბამ ჰკითხა უკვე გამოუცხადა სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის თანხმობა.

ამ შეკრებაზე მიღებულ მიმართვაში აღნიშნულია, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ეს განზრახვა თვითნებურია და იგი სრულებით არ ასახავს რეგიონის მოსახლეობის სურვილს. 28 ივნისს კი მთელ რაიონში ჩატარდა კრებები, სადაც მოსახლეობამ გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერისადმი.

პარასკევს, 12 ივლისს 12 საათზე მარტვილში ტარდება სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირისა და საქართველოს მიწათმოქმედთა ასოციაციის გაერთიანებული რიგგარეშე საგანგებო გასვლითი ყრილობა.

საქართველოს რაიონებში არსებულმა სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირისა და საქართველოს მიწათმოქმედთა ასოციაციის ფილიალებმა უზრუნველყონ 10-10 დელეგატის წარმოდგენა.

დელეგატების რეგისტრაცია დაიწყება 12 ივლისს დილის 10 საათიდან მარტვილის რაიონის კულტურის სახლში.

**სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის დარბაზი.**

**საქართველოს მიწათმოქმედთა ასოციაციის პრეზიდიუმი.**

# აკაკის სამი თეთრი მუზა

კაცობრიობის არსებობის მანძილზე ადამის ძეთა დამოკიდებულება მეფე-მხედართა, მუზის მსახურთა და გლახაკ-საპყართა მიმართ ერთნაირი არასოდეს ყოფილა და, ცხადია, არც იქნება არასოდეს. დროებითი აღზევებული მოლაჭუცენი და მოშიშარნი მათ ფერხთა მტვრად ეგებებოდნენ ხოლმე; ანუ მიწამდე უდრეკდნენ ქედს ანუ თავს სცემდნენ პირთამდე ყანას, რამაც შედეგად „თავ-ყანის-ცემა", ხოლო აქედან „თაყვანისცემა" წარმოშვა, ეს მხოლოდ ძლიერთა ამა სოფლისათა კერპობისა და მათი ყოვლისშემძლეობის მონური აღიარების შედეგი იყო, რამეთუ შიშს დიდი თვალები ჰქონდა მუდამ, და რუსთველის თქმისა არ იყოს, შიში შეიქმს სიყვარულსაო.

მაგრამ თუ ასეთი რამ მუზის მსახურთა მიმართაც ხდებოდა ოდეს, ეს უკვე მათი საყოველთაო სიყვარულისა და აღიარების გამოხატულება იყო მუდამ.

სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ იმ ახალგაზრდათა ქმედებას, ცხენთა სანაცვლოდ, თავად რომ შეუღლდნენ გაბრიელა მისტრალის ეტლში და ცხრა ნაბდის გაშლასა თუ ისრის გაფრენის მანძილზე, ზარ-ზეიმითა და შეძახილებით მიყავდათ თავიანთი მიწიერი ღმერთი?

რა შეიძლება ვუწოდოთ ქუთაისელ ჭაბუკთა ამგვარსავე ქმედებას აკაკი წერეთლის მიმართ, თუ არა მოწიწება მგოსნის მიმართ, რომლის იქითაც ღმერთის სიყვარული თუ არსებობს მხოლოდ?

აკაკი ერთადერთი იყო ღვთის-



აკაკის ერთ-ერთი თეთრი მუზა თამარ გელოვანი, მხატვარ გიორგი ბეგეჭკორის დედა. ქუთაისი, 1910-იანი წლები.

მშობლის წილხვედრ ქვეყანა— საქართველოში, ვისაც მადლიერი ხალხი მის სიცოცხლეშივე **მგოსანს** ეძახდა. დიდი ვაჟაც კი ასე მიმართავდა აკაკის:

მგოსანო, მადლი შენს გამჩენს!..

ილია ჭავჭავაძეს უგვირგვინო მეფის ტიტული უბოძა სრულიად საქართველომ.

გალაკტიონმა ერთიც გაითავისა და მეორეც:

რომ მეფე ვარ და მგოსანი
და სიმღერით ვკვდები...

მაინც რა არის სიტყვა **მგოსანი**, რა იმალება ამ ძირძველი სიტყვის მიღმა, ესოდენ ღვთიური და ასტრალური? ან რატომ გვეკრძალვის მისი, ვითარცა უფლისა?

თვით დიდმა მსაჯულმა—ცხოვრებამ აქცია ეს სიტყვა ზეგარდმო ნიჭით ცხებულთა მეუფების სიმბოლოდ. იგი არც არსენას ადლია და არც აფთიაქის სასწორი: ის უფრო მაცხოვრის პინას მოაგონებს ადამიანს...

„ჩვენ, მგოსნებით, — განსვენებული იოსებ ნონეშვილი თუ იტყოდა ხოლმე და შვენოდა კიდეც ამ ნათელ კაცს, ამ მშვენიერ ლირიკოსს ეს ნათქვამი...

„ვაჟნი და ქალნი კეთილად მომღერალნი ჭმითა სამუსიკოთა ებანთა და ბარბითთა ზედა", —აი, რანი არიან საბას განმარტებით მგოსანნი და უმატებს, — „მეგოდებნიცა გლოვის მგოსნად ითვლებიან".

და მართლაც, საჭიროების შემთხვევაში, აკაკი ზარ-ზეიმის მგოსანიც იყო და გლოვისაც, თუმცა არც ბარბითი ემარჯვებოდა და არც ებანი, მაგრამ თავად მისი ლექსი იყო მუსიკა, — „ჰარმონია მისი ხმების", მარად უკვდავმა ვარინკა მაჭავარიანმა, — წერეთლისამ ქართული სიმღერის დედაგვირგვინად და დედა-სიმღერად რომ აქცია.

და როდესაც ჩვენ, შვილნი უფლისანი, „სულიკოს" ხმატკბილობით ყურის გემოს ვიოკებთ ხოლმე, მაშინ თითქოს ანგელოსთა გუნდი ბეთლემს, პატარა ყრმის თავსასთუმალთან, იავნანურის გალობას იწყებს.

აკაკი ვერცხლის წყალივით მოძრავი და ვერხვის ფოთოლივით მთრთოლვარე, მაგრამ მოუსვენარი კაცი იყო. ბუდემოშლილი მუზის მსახური დღეს რომ პეტრეს ქალაქს მიაშურებდა, ხვალ პარიზს ეწვეოდა, აქედან — იტალიას, იტალიიდან — სტამბულს, სადაც იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II საფლავთან საკმაოდ კარგახანს ჩერდებოდა და მდუმარედ კითხულობდა მისი საფლავის მწუხარე ეპიტაფიას, რამეთუ კარგად უწყოდა, რომ ამ განსას-



დავით (დათა) გოცირიძე და მისი მეუღლე ნადო ჯაფარიძე, რომლებთანაც ხამი დღე და ღამე სტუმრად იმყოფებოდა აკაკი წერეთელი 1912 წელს, მისი რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს. ფოტო გადაღებულია 1900 წელს.

ვენებელთან მისი დიდი პაპის, ივანე აბაშიძის აჩრდილიც იდგა...

ჯერ კიდევ რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობამდე 34 წლით ადრე, 1878 წლის გაზეთ „დროების" 107-ე ნომრიდან აკაკი ჩაგვაგონებდა: „ვისაც უნდა, რომ საქართველო გაიცნოს, უნდა მისი ყოველი კუთხე შეისწავლოს".

ამბობდა და ასრულებდა კიდეც.

და აი, 72 წლის თმაჭაღარა მოხუცი ნოსტალგიური ტკივილებით დაადგა რაჭა-ლეჩხუმისკენ მიმავალ გზას, ამ ოკრო-ბოკრო, ჯერ კიდევ გაურანდავ და მოუკირწყლავ გზაჯვარედინებს, ხეობებს, ხიდბოგირებსა და ბეწვის ხიდებს.

წავიდა აკაკი და ისიც მაშინდელ გადაადგილებათა ყველაზე კომფორტული საშუალებით — **ეტლით**.

მე: — ცაში ღმერთები ეტლებს დააქროლებენო.

მაშინ, 1912 წლის 27 ივლისს, მიწიერი ღმერთი აკაკი წერეთელი ეტლს მიაქროლებდა რაჭა-ლეჩხუმის წმინდა საუფლოსკენ. და სადღაც ზემოთ, ონის სიახლოვეს, რაჭული დიალექტით რომ ვთქვათ, რივნის ანუ რიონის ხიდთან, ზღვა ხალხთა შორის, სამი თეთრი მუზა ელოდა მას: ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზიის ახლადკურსდამთავრებულნი: ლენა გიორგობიანი, ნადია ჩიკვაიძე და თამარ გელოვანი და მათთან ერთად, ორი სიამის ტყუპი, ორი თეთრჩოხიანი მხედრები ჭაბუკი — ლადო და გრიშა ჯაფარიძენი,

მოს, ხოლო საგანგებოდ მორთულ ტრიუმფალურ თაღთან ხალხი პლაკატებით, სიტყვებითა და ლექსებით ხვდებოდა სასურველ სტუმარს. იქვე, თანახმად შემუშავებული გეგმისა, სამთავე „მუზა" ეტლში ჩავუსხედით მგოსანს".

მაინც რა პრინციპით უნდა შეერჩიათ რაჭველებს სამი თეთრი მუზა? ანგელოსთა ცხრა დასობათა მსგავსად, ძველ ბერძენთა წარმოდგენით მუზა ცხრაც არსებობდა და სამიც. ჰესიოდე ცხრათა არსებობაზე მიუთითებს, ჰომეროსიც რამდენიმე მუზას მოიხსენიებს უსახელოდ; ძირითადად კი ბერძნული სამყარო პოეზიის, ხელოვნებისა და მეცნი-

და მათი უჩვეულო მსგავსებით შეძრულმა, ალალო ბაგე, ხელები უფლისა მიმართ აღაპყრო და განცვიფრებულმა შესძახა: „ღმერთო, ჩემო, ჯერ ხომ ერთი წვეთი ღვინოც არ დამილევია, მაშ, რად მეჩვენება ერთი ორადო?!"

აი, სწორედ ამ საოცარ ტყუპისცალთაგან ერთ-ერთმა, ბატონმა ლადომ, აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობიდან ერთი წლის შემდეგ, ზეპირად შეასრულა მგოსნის გრაფიკული პორტრეტი, რომელიც ბოლოსდაბოლოს ცარცისა და ნახშირის ფერებით გაადიდა ვატმანის ქაღალდზე, მაგრამ, ჩარჩოს უქონლობის გამო, საგულდაგულოდ შეახვია, ვიდრე...

ვიდრე თებერვლის რევოლუციის შემდეგ, საშუალება არ მიეცა ძვირფასი ჩარჩოს შოვნისა. ეს ის



აკაკი წერეთლის კიდევ ორი თეთრი მუზა სამთაგან: მარცხნიდან — ნადია ჩიკვაიძე და „ღვთაებად" წოდებული ლენა გიორგობიანი ქუთაისი 1910-იანი წლები.



აკაკის დროინდელი რაჭა. მარცხნიდან: ლენა გიორგობიანი, მისი მეუღლე ლადო ჯაფარიძე და მხატვარი უჩა ჯაფარიძე, ლადოს ძმა.



ტყუპი ძმები ლადო და გრიშა ჯაფარიძეები, რომლებიც ახლდნენ აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს.

ახლაც კი მღერიან ძველ ქართულ სტრიქონს:

მიმაქროლებს ბედის ეტლი...

თუმცა ეს ეტლი უფრო პიდრაკის ეტლს, უშეღავათო ბრძოლაში ჩაბმულ ეტლსა ჰგავს...

რომელთა შესახებაც ცოტა მოგვიანებით კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი, მის მიერ გაზეთში გამოქვეყნებულ ძმათა მეგობრული შარჟის ქვეშ, ლექსად შეწერს:

ერების სამ მფარველ ღმერთქალს იცნობდა, — ზევსისა და მნემოსინეს სამ ქალწულს: მელეტეს, მნემესა და აიდეს, რომელთაგან შესაბამისად პირველი „ჩაფიქრება", მეორე — „მახსოვრობა", მე-

დრო იყო, როცა მეფისა და სხვა დიდ მოხელეთა პორტრეტებს ქუჩებში ყრიდნენ და ცეცხლზე წვავდნენ. ერთი ძვირფასი გამონთავისუფლებული ოქროსვარაყიანი ჩარჩო მხატვარს რომელიღაც და-

უხვად გააჩნდა ჩემს ბაბუას, — ფიზიკურად ბრგე და წარმოსადეგ, ენამჭევრ, პურად, გულად და განსწავლულ ადამიანს.

ამიტომაც შეარჩიეს მისი ოჯახი აკაკის მისაღებად; ამიტომაც

ქრა...

**ავთანდილ ვართაგავა**
**ტარიელ ვართაგავა**

(გაგრძელება იქნება)

# აკაკი პატარა საქართველოა

ამას წინათ ეროვნული ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში გაიმართა აკაკი წერეთლის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომლის ინიციატორები იყვნენ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს მწერალთა კავშირი. ჩაბნელებულ დარბაზს ოდნავ ანათებდა სულმნათი პოეტის სურათთან დანთებული კელაპტარი, რომელსაც ფარვანასავით დასტრიალებდა აკაკის ხმა.

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-
ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო..."

საღამო გახსნა მასპინძელმა, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა ბატონმა აკაკი ძიძიგურმა.

სცენაზე ერთმანეთს სცვლიდა მოგონებები, ლექსები, დროდადრო გაისმოდა მარად უბერებელი ქალბატონის, თამარ იმნაძისელის სიმღერები.

აკაკისა და გალაკტიონის ურთიერთობებზე ისაუბრა გალაკტიონის ძმისწულმა, პროფესორმა ნოდარ ტაბიძემ. სიტყვით გამოვიდა პროფესორი სოლომონ ხუციშვილი.

სულ რამდენიმე წუთში ეკრანზე გაცოცხლდნენ აკაკი წერეთლის უკვდავი გმირები: მელანო (მედეა ჩახავა) და ბაში-აჩუკი (ოთარ კობერიძე). მგოსნისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს მუხრან მაჭავარიანმა და ენვერ ნიჟარაძემ: საღამოში მონაწილეობდნენ: გურამ ფანჯიკიძე, ტარიელ ჭანტურია, დოდო ჭიჭინაძე, ლეილა აბაშიძე და სხვები...

საღამო უშუალო და ბუნებრივი იყო... სცენაზე ფარდა დაეშვა, მაყურებელი დიდხანს იდგა ფეხზე და მონაწილეებთან ერთად მღეროდა „სულიკოს".

ჩაბნელებულ დარბაზს კვლავ ანათებდა აკაკის სურათთან დანთებული კელაპტარი, რომელსაც ფარვანასავით დასტრიალებდა პოეტის სული და მისივე გაბზარული ხმა:

„ცა ფირუზ ხმელეთ-
ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო..."

**ნონა ხიხაძე**

---

**-საზოგადოებრიობაში** დიდი შეშფოთება გამოიწვია უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტების, ზაზა რონიშვილისა

ბოვნების ამ შემაშფოთებელ სიმპტომზე, მის წარმომშობ სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორებზე,

...

ში უნდა გაერკვნენ და ჩაერიონ ქალთა საბჭოები.

## ზაზა რონიშვილის დედის წერილის რეზონანსი

# ლამაზად შვილის გამზრდელი...

აღვუდგეთ მოძალებულ დანაშაულებებს. ცხადია, ჩვენ ვერც მილიციის ფუნქციას ვიკისრებთ და ვერც სასამართლოსი, მაგრამ უნდა მოვუწოდოთ ქალებს, დედებს, რომ მათ შვილები მაღალი ზნეო-

**ლეილა ხუშუა**, **ხულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედინსტიტუტის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე**:

ქალთა საბჭოებმა რაღაცა უნდა ვიღონოთ ხელმოკლე ოჯახების

მათს მატერიალურ უზრუნველყოფას.

**მადონა ბერიძე**, **თბილისის ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**: იქნებ ქალების ყველა პრობლემა ერთად მოვაგროვოთ და

...

## რეპორტაჟი ფოთიდან გასვლის წინ

# „კოლხეთმა" აფრები აუშვა

უკან დარჩა ნაპირზე მოსაგვარებელი ყველა დიდი თუ პატარა საქმე — საბუთების გაფორმება, პროდუქტების შოვნა, ათასგვარი წვრილმანი, რაც ნავის მზადყოფნისათვის არის საჭირო და აი, „კოლხეთი" მზადაა შორეული ნაოსნობისათვის. ყველა, ვინც კი ამ ჩვენს დეფიციტურ დროში საზღვარგარეთ ყოფილა, ან მაღაზიაში რაიმე საჭირო ნივთის თუ პროდუქტების შოვნა განუზრახავს, კარგად გაგვიგებს, თუ რა სიძნელეების წინაშე აღმოჩნდებოდა „კოლხეთის" ეკიპაჟი, რომ არა კვლავაც საქართველოს საზღვაო სანაოსნოს და პირადად მისი უფროსის ბატონ ჯემალ ჭილვარიას, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მ. ქამუშაძის და ა. მიქაცაძის და ფოთის ნავსადგურის მთავარი ინჟინრის ჯემალ ბერსამიას თანადგომა და დახმარება.

იყო ხელოვნურად შექმნილი სიძნელეებიც, რომლებმაც კინაღამ ჩაშალა შეჯიბრში მონაწილეობა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ეკიპაჟის ყველა წევრი სრულ მზადყოფნაშია. აი, ისინიც: კაპიტანი **თამაზ ზოიძე**, აფროსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი; კაპიტნის უფროსი თანაშემწე **ნუგზარ კიკნაძე**, „მეტნაქსის" წამყვანი კონსტრუქტორი; კაპიტნის თანაშემწე **ილია ფერაძე**, საქართველოს ტელერადიოდეპარტამენტის საინფორმაციო-გამომთვლელითი ცენტრის დირექტორი; ელექტრომექანიკოსი **დიმიტრი ვარძელაშვილი**, მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „პროგრესის" განყოფილების გამგე; ეკიპაჟის წევრები: **ნიკოლოზ ბორზენკო**, ფოთის გემთმშენებელი ქარხნის ინჟინერი; შტურმანი **ნოდარ თინეიშვილი**; ახალგაზრდა სპორტსმენები: **ალექსანდრე ლორთქიფანიძე**, ფოთის იახტკლუბის მწვრთნელი; **კობა გოდიბაძე**, თბილისის იახტ-კლუბის მწვრთნელი; **გიორგი გოცაძე**, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტი; **ვაჟა ხიჭინავა**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტი.

მაშ ასე, „კოლხეთის" ანძაზე აფრიალდა საქართველოს რესპუბლიკის დროშა, წინ დიდი და მოულოდნელობებით აღსავსე მოგზაურობაა.

**ილია ფერაძე**
„კოლხეთის" კაპიტნის თანაშემწე



## ყურადღება!

ექვსი წლის გიორგი ქურასბედიანს, რომელიც მძიმე სენით არის შეპყრობილი, ესაჭიროება სამკურნალოდ საზღვარგარეთ წაყვანა, რისთვისაც სოლიდური თანხაა საჭირო. ჩვენ გვჯერა ქართველი ხალხის გულისხმიერებისა და ამიტომ გთავაზობთ საბანკო ანგარიშის ნომერს, რომელიც გახსნილია ლენტეხის შემნახველ ბანკში, მისი ნომერია 16401. ქურასბედიანი გიორგი ხვიჩას ძე. წიგნი № 24250.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვადასხვა დროს თქმული

● უკან ჩავჩაროთ, ჩვენს ავად მახსენებელს, საუკუნეების სიღრმეებიდან, წყევლასავით მომდინარე სიტყვები: ღმერთო, ქართველებს ერთმანეთს ნუ მისცემო.

● ჩინელებზე არის ასეთი თქმა: ჩინელმა რომ ბუზი დაინახოს, რაც ხელში მოხვდება იმით გამოუდგება. თუნდაც იმ დროს წერაქვი ეჭიროსო. ასე ეჯავრებათ ჩინელებს ბუზი. ქართველები კი, თუ განსხვავებული აზრი გაჩნდა, ოდითგანვე ისე ვდევნიდით, როგორც ჩინელები ბუზს. თითქოს აზრი ბუზი იყოს.

● შვილებს ქონებაც კი არ უნდა დავუტოვოთ, არამედ ქონების შეძენის უნარი.

● პოეტისათვის წვიმა ბუნების ცრემლია.

● ესა თუ ის დამპყრობელი ყოველთვის ცდილობს დასაყრდენი ჰპოვოს დასაპყრობად გამიზნულ ქვეყანაში, რადგანაც ერთი სამეფო მეორეს თუ მეტისმეტად არ აღემატება, უჭირს უცხო მიწაზე შეჭრა და მისი მთლიანი დამორჩილება.

● როცა სპარსთა მეფე კიროსი მიდიას დაესხა თავს, მიდიელები არცთუ დიდი გაჭირვებით, მუსრს ავლებდნენ კიროსის ჯარებს. მაგრამ მიდიის არისტოკრატია სპარსთა დასაყრდენი აღმოჩნდა, მტრის მხარეზე გადავიდნენ და სპარსელებმა გაიმარჯვეს. სადღაა მიდია.

● იგივე სპარსეთის მეფემ კამბისმა ეგვიპტე, ეგვიპტელი ქურუმებისა და მსხვილი მოხელეების მოსყიდვით, დაიპყრო. სადღაა ეგვიპტე.

● როცა რომის მსოფლიო იმპერიას გერმანელი ტომები ანგრევდნენ, რომაელებს თითქოს ღმერთმა მოუვლინა მხედართმთავარი სტილიხონი, რომელიც ყველა გადამწყვეტ ბრძოლაში სასტიკად ამარცხებდა გერმანელებს. სენატში, რომელიც რომის სახელმწიფოს ტვინს წარმოადგენდა, შური და ღვარძლი აღიძრა სტილიხონის წინააღმდეგ. რაც გამარჯვებების შედეგად ნადავლი რჩება, ლომის წილი თვითონ მიაქვსო. შეიპყრეს სტილიხონი და იმპერიის ჭკუა-გონებამ, სენატმა, თავისი ხელით მოჰკვეთა თავი თავის მხსნელს. სადღაა ლათინთა უნაპირო, მსოფლიო სახელმწიფო.

● როცა კონსტანტინეპოლს თურქები უტევდნენ, ბერძენი ვაჭრებისა და ფეოდალების გამცემლურ პოლიტიკას დეზორგანიზაცია შეჰქონდა მოსახლეობაში. ღალატის მდინარეში ზოგიერთი დიდგვაროვანი და მაღალი თანამდებობის სამხედრო პირიც ჩაერთო. ოსმალებმა ყოველივე ამით მშვენივრად ისარგებლეს. აიღეს ბერძენთა სატახტო ქალაქი და დაამთავრეს ბიზანტიის არსებობა.

სადღაა ქრისტეს უპირველესი მადიდებელი, ცივილიზებული და ფრიად კულტურული ბიზანტიის იმპერია.

● ასე გადმოგვცემენ მატიანეები. ყველა ეს უძველესი სახელმწიფოები ღალატის მსხვერპლი შეიქმნა. ასეთი ავბედითი მაგალითებით სავსეა კაცობრიობის ისტორია. რაღა შორს წავიდეთ: ქართველები არ ვიყავით, სწორუპოვარი გიორგი სააკაძე, სპარსეთში, ჩვენს საუკუნო სამტრო ბუნაგში რომ გადავხვეწეთ და მტრად მოვკიდეთ? მარქსიზმით გაგიჟებული, გაკრეტინებული, ცოფიანი სოციალ-დემოკრატები არ იყვნენ, წმინდა ილია ჭავჭავაძეს უმანკო შუბლში ტყვია რომ დაახალეს?

● ლიპი და ლაბაბი ჩვენი სისუსტის ნიშანია.

● ლუარსაბ თათქარიძის ქონით გატენილ კოტიტა თითებით მუშტს ვერ შეკრავთ.

● ცნობილია, არც ერთ იმპერიას თავისი ჯარისკაცები არ გაუნებივრებია. რომი ოდესღაც თითქმის იმდროინდელ მსოფლიოს პყრობდა, მაგრამ მისი ლეგიონები სიღატაკის გამო ხშირად აჯანყებულან. ისინი ხვდებოდნენ, რომ სენატისთვის იპყრობდნენ სხვის ქვეყნებს. ლომის წილი ზევით, ძაღლის წილი ქვევით. განაწილების ასეთი პრინციპი მოქმედებდა ყველა დამპყრობელთა სამართალში. მიუხედავად ამისა, განა დაიჯერებს ვინმე, რომ ძაღლის წილის გამო მიდიოდნენ შორეულ ლაშქრობებში ჯარები? არა! ამა თუ იმ სახელმწიფოს ესა თუ ის ხელისუფლება ჯერ საკუთარ ხალხს იმორჩილებდა, იმონებდა და მერე აიძულებდა სხვის დამორჩილებასა და დამონებას. პიროვნება, რომელიც თავის სამშობლოში მონაა, სადღაც ხომ უნდა იყვეს აღმატებული და ბატონი. ამიტომ თავის მკვიდრ ქვეყანაში მონური უღლით დათრგუნული ჯარისკაცები, ათმაგი ენერგიით ჩეხავდნენ სხვა ქვეყნებს, რომ თავიანთი თავისუფლებისა და სხვაზე ბატონობის წყურვილი იქ, სხვაგან მაინც მოეკლათ. გასაგებია, რომ ასურეთის, სპარსეთის, რომის, ბიზანტიის, მონღოლეთის, ოსმალეთის, საფრანგეთის თუ ინგლისის მეომრები ამაყნი და ძლიერნი ომისკაცები იყვნენ, მაგრამ მათი მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო მათი ასეა თუ ისე მონური, გნებავთ აბსოლუტურად დამოკიდებული მდგომარეობა თავიანთ სამკვიდრებელში. ამიტომ, თუნდაც იმ დამამცირებელ ძაღლის ულუფისათვის სიამოვნებითა და დიდის მგზნებარებით მიეშურებოდნენ სხვისი ქვეყნების დასარბევად და გასაძარცვავად. ასე მიდიოდა კაცობრიობის ცხოვრება. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მიხვდა კაცთა მოდგმის ელიტა (დიახ ელიტა, მხოლოდ და მხოლოდ რჩეულნი), რომ სხვის ქვეყანაში შეჭრა და მისი აკლება, გადადის ყოველგვარ ზნეობრივსა და სამართლებრივ ნორმებს. ომი არის ველურობიდან მომდინარე ნაშთი, ღვთის სათნოების, სიყვარულის, სიმშვიდის და საერთოდ კულტურისა და ცივილიზაციის საწინააღმდეგო მოქმედება. შექმნა ბრწყინვალე პოეზია, მხატვრობა, მუსიკა, არქიტექტურული შედევრები, ხელმძღვანელობდე დახვეწილი სამართლის კოდექსებით; ჰქმნიდე ზეადამიანურ ზნეობრივ მოძღვრებებს, ახალ აღთქმას გულში იხუტებდე, როგორც ღვთის შთაგონებით დაწერილ უწმინდეს წიგნს; ოქროს ჯვარცმა გეკიდოს მკერდზე და ყოველივე ამის შემდეგ კიდევ ჯარებს იმონებდე, წვრთნიდე და ამზადებდე სხვათა გასაჟლეტად, ძალიან ძნელი შესათავსებელია. ამიტომ არის, რომ ევროპა რადიკალურად შემობრუნდა მშვიდობის გზაზე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპა ორი მსოფლიო ომის ავტორია, საყოველთაო, მსოფლიო მშვიდობის ავტორიც არის.

რა ხდებოდა ამ მხრივ რუსეთში. რუსეთის ყველა ხელისუფლება იმას ცდილობდა, ზედმეტად დაეთრგუნა და დაემონებინა რუსი კაცი, რუსი მოქალაქე. რუსეთში მონობის ცეცხლი ათასი წელია გიზგიზებს, ამით რუსი მუჟიკისაგან მიიღეს ისეთი სამარი მასალა, რომელიც განუკითხავად, უანგაროდ, თვალდახუჭული სპობს ყველაფერს. ეს იყო სწორედ მიზეზი იმისა, რომ კაცობრიობის ისტორიაში, მრავალ იმპერიათა შორის, მხოლოდ რუსეთს ეწოდა ბოროტების იმპერია. ამიტომ არის ასეთი მწარე, აუტანელი და უმძიმესი რუსეთის ბატონობა სხვებზე. ეს არის უკიდურესად მონური თვისებების მქონე ჯარების მოქმედება თავისუფლების წინააღმდეგ. ხომ ცნობილია, საბჭოთა ჯარისკაცზე ღატაკი, დამცირებული, უუფლებო და არნახულად დამონებული არ არსებობს დედამიწის არც ერთ სახელმწიფოში. და რა გასაკვირია, რომ ეს მონა ჯარისკაცი იკადრებს ორსული ქალის აჩეხვას. ამიტომ რუსი ერის განვითარება მხოლოდ მის დეკოლონიზაციაშია საძიებელი. ასე მოხდება რუსი მოქალაქის სულიდან ათასაუკუნოვანი მონობის ამოფხეკა, ამოფხვრა. როცა რუსი კაციც გაიგებს, რა არის თავისუფლების გემო, სხვათა თავისუფლებისაკენ სწრაფვა, მისთვის აღარ იქნება უცხო და გამაღიზიანებელი.

**თენგიზ თაქთაქიშვილი**

# წერილები რედაქციას

## ბატონო რედაქტორო

გწერთ გორის რაიონის ტყვიავის კოლმეურნეობის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი, რომლებსაც სურვილი გვქონდა კომუნისტური პარტიის რიგებიდან გამოვსულიყავით.

განცხადებით მივმართეთ პარტიის გორის საქალაქო კომიტეტს, მაგრამ იქ კატეგორიულ უარს აცხადებენ, ჩაიბარონ ჩვენი განცხადებები და პარტიული ბილეთები, იმ მოტივით, რომ ჩვენი განცხადებები უნდა განიხილოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებამ, რათა ნება დაგვრთოს გავიდეთ პარტიის რიგებიდან!!!

ტყვიავის კოლმეურნეობაში პარტიული ორგანიზაცია აღარ არსებობს, პარტიული კომიტეტის მდივანი და კოლმეურნეობის თავმჯდომარეც პარტიიდან გავიდნენ. ამიტომ, ჩვენი საკითხის განხილვაც შეუძლებელია და არც ჩვენ ვთხოულობთ სხვის ნებართვას პარტიიდან გასასვლელად. ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ ვიღაცა კვლავ გვთვლის თავისი პარტიის წევრებად.

ალბათ, უმეტესწილად, ჩვენნაირი „კომუნისტებისაგან" შედგება კომპარტიის 400 ათას კაციანი არმია, რომლითაც ასე ტრაბახობენ მისი ლიდერები. გთხოვთ, ჩვენი განცხადებები თქვენ მაინც მიაწოდოთ იმას, ვისაც კომუნისტების სიიდან ჩვენი ამოღება შეუძლია.

კატეგორიულად მოვითხოვთ, ჩატარდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია, რათა საბოლოოდ გაირკვეს რამდენი კომუნისტია საქართველოში და გაქარწყლდეს მითი კომპარტიის მრავალრიცხოვნობის შესახებ.

1. მარინე თევდორაშვილი
2. იზოლდა ნიკოლიშვილი
3. ნინო გიგუაშვილი
4. ანდრო ბესტავაშვილი
5. გიორგი გიგუაშვილი
6. ჯემალ ბოჭორიძე
7. ნანა გიგუაშვილი
8. ვასილ ჩიხლაძე
9. გივი ჯაშაშვილი
10. დავით პავლიაშვილი
11. მილერი გალავაშვილი
12. რობიზონ ხაბაზიშვილი
13. იური გიგუაშვილი

**რედაქციისაგან:** წერილს თან ერთვის ყველა ხელმომწერის პირადი განცხადება, რომლებიც გადაეგზავნა კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

## ვინ ებრძვის პრეფექტებს აჭარაში

აჭარაში პრეფექტების დანიშვნის შემდეგ ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა, იფიქრა, დამთავრდა კუთხის მაკომპრომენტირებელი და მხოლოდ საკუთარი ჯიბის მიმხედავი პირების პარპაშის პერიოდიო. მაგრამ ასე იოლად როდი შეელია ავტონომიის სტრუქტურების სავარძლების ზოგიერთი მეპატრონე თავისი გავლენის სფეროს შეზღუდვას. აღიზიანებთ რა ახალგაზრდა პრეფექტებისა და ხალხის ერთიანობა, ახალი ძალით აამოქმედეს ჭორების მანქანა და ხალხისათვის თავდადებული პრეფექტების სახელის გატეხვისათვის დაიწყეს ზრუნვა.

პრეფექტების მოშორების შემთხვევაში თუკი შეცდომაში შეიყვანენ საქართველოს პრეზიდენტს და პრეფექტებად სასურველ ხალხს დანიშნავენ ავტონომიის მესვეურნი, ამით ისევ აღიდგენენ „უძრაობის" დროინდელ ძალაუფლებას.

უკანასკნელად გაფთრებული ბრძოლა 23 ივნისის არჩევნებში გაჩაღდა: თუკი ძველი ფუნქციონერები შეძლებდნენ არჩევნებში პრეფექტების დამარცხებას, მათ „ახალი" ცხოვრებისათვის გზა ხსნილი ექნებოდათ. საბედნიეროდ, არჩევნებში ყველა პრეფექტმა აჭარაში პირველი ადგილი აიღო. ოღონდ ხელვაჩაურის, შუახევისა და ხულოს რაიონის პრეფექტებს (ბ. ბიბინეიშვილს, შ. ფუტკარაძეს და ბ. გობაძეს) ხელახალ, განმეორებით კენჭისყრაში მოუწევთ მონაწილეობის მიღება, ვინაიდან მათ პირველ კენჭისყრაში ხმათა ნახევარზე მეტი ვერ მოაგროვეს. ფაქტია, რომ მოპირისპირე ბანაკმა ამ ახალგაზრდა, პატიოსან ხალხს, ძირითადად, შედარებით ავტორიტეტული ძველი ფუნქციონერები დაუპირისპირა, რომელთაც, ყველაფერთან ერთად, გამოიყენეს გვაროვნული პრინციპი.

არჩევნების პერიოდში ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ თუ რა უთანასწორო პირობებში არიან ახლადდანიშნული, ჯერ კიდევ უსტრუქტუროდ, მარტოდ მომუშავე პრეფექტები და მათთან დაპირისპირებული ძველი ფუნქციონერები. მოსახლეობამ კარგად უნდა გაიაზროს, რომ ჩვენთვის — საქართველოს დამოუკიდებლობის მებრძოლთათვის უფრო იოლი აღმოჩნდა გამარჯვება კომუნისტურ იდეოლოგიასთან, მაგრამ ჯერჯერობით არ გაუმარჯვია პატიოსნებას მაფიასთან. ჩვენ ახლა უფრო გვიჭირს, ვიდრე 28 ოქტომბრამდე. იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს, ბატონი ზვიად გამსახურდიას და პარლამენტის ძალისხმევით, ჩვენ ამ ბარიერსაც გადავლახავთ.

დაბოლოს, ხელვაჩაურის, შუახევისა და ხულოს რაიონის მცხოვრებლებს მივმართავ, თქვენი პრეფექტები სწორედ ის ახალი თაობაა, რომელიც პატიოსნებისა და სიმართლისათვის იბრძვის, ჩვენივე ხელით ნუ მოვსპობთ, ნუ დავამარცხებთ სიმართლეს, რომელსაც ჩვენთვის სიკეთე მოაქვს. წინ ხელახალი კენჭისყრაა...

**ალეკო ბაქურიძე**

# ექსპრესინფორმაცია

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა პირველ გასვლით საერთაშორისო შეხვედრაში დაამარცხა მოლდოვას ნაკრები — 4:2. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს: თემურ ქეცბაიამ, გიორგი დარასელიამ, მიხეილ ჯიშკარიანმა და მიხეილ ყაველაშვილმა. ჩვენი კორესპონდენტი, გია ტუხაშვილი, დაესწრო ამ მატჩს და მის ვრცელ მასალას უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

# დიქტატორი აბაზანაში



უან პოლ მარატის დევნა და მკვლელობა შარანტონის ფსიქიატრიული თავშესაფრის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი მარკიზ დე სადის ხელმძღვანელობით, ანუ დიქტატორი აბაზანაში — ეს უზარმაზარი სათაური ობილისის სახელმწიფო საერო თეატრის (მეტეხის თეატრი) მიერ დადგმული სპექტაკლის დასახელებაა, რომლის პრემიერაც ერთი თვის წინ იხილა მაყურებელმა. დამეთანხმებით, საკმაოდ უცნაური, ორიგინალური სახელწოდებაა, ისევე, როგორც არჩეული თემა, დადგმა და სპექტაკლის სცენოგრაფია. მართლაც, თეატრის მთავარ რეჟისორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს, ბატონ სანდრო მრევლიშვილს შესწევს უნარი უჩვეულო სპექტაკლების განხორციელებისა. მსახიობთა კოსტიუმებიც, რომელიც საკმაოდ მოსაწყენი ორი ფერისაგან შედგება და საავადმყოფოსა და ტუსაღების ზოლებიან სამოსს მოგაგონებთ, იმდენად კარგადაა მოდელირებული, როგორც ეს მეცხრამეტე საუკუნის საფრანგეთს, უფრო ზუსტად პარიზს შეეფერება (რევოლუციის, სისხლისა და ნგრევის დროსაც კი პარიზი ომის ახალ ვარცხნილობასა და ტანსაცმლის უცნაურ მოდელებს კარნახობდა ევროპას).

პეტერ ვაისის პიესის დადგმა თავად დრომ განაპირობა. როგორც იცით, საბჭოთა კავშირშიც და ჩვენთან, საქართველოშიც, ძირეული გარდაქმნები მიმდინარეობს. ძნელად, მტკივნეულად, მაგრამ მაინც იმსხვრევა სტრუქტურები, კომუნისტური რეჟიმი საქართველოში აღარ არსებობს. ეს კი (თუმცა სიტყვა რევოლუცია საშინლად მძულს), ნამდვილი რევოლუციაა. უსისხლო (ჯერჯერობით, ღმერთის წყალობით), მაგრამ მაინც რევოლუცია. სიტუაციაც, რომელსაც პიესა გადმოგვცემს, წარსული რევოლუციის გახსენებაა და ამიტომაც შეცდომებიც უკეთ ჩანს, დასკვნების გაკეთებაც უფრო იოლია. მსახიობთა დასი იმდენად ღრმად შეიჭრა როლში, რომ ზანდახან აჭარბებს კიდეც. მაგალითად, სექსუალური მანიაკი ზედმეტი გულმოდგინებით ელუს(?)ვის თავის მიჯნურს, თუმცა რას იზამ, მანიაკი, ავადმყოფი კაცია. არის მკვლელობა საკმაოდ მძიმე, ბრალდებებით აღსავსე მონოლოგის თანამედროვეობასთან გაიგივების, თუმცა, ჩემის აზრით. უშედეგო, რადგან ყოველივე რომ ასე რთულად იყოს, ალბათ კაცი ცხოვრებაზე ხელს ჩაიქნევდა. ფსიქოლოგიური დრამა, რომლის პრეტენზიასაც სპექტაკლი აცხადებს, არ შედგა, თუმცა პროგრამაზე დაბეჭდილი ალბერ კამიუს საინტერესო მოსაზრება ამის საბაბს იძლეოდა: ყოველი რევოლუციონერი საბოლოოდ მტარვალად ან ერეტიკოსად იქცევა. იმ წმინდა, ისტორიულ სამყაროში, რომელიც ამოჩრჩიეს აჯანყებამ და რევოლუციამ, ისინი უცილობლად აღმოჩნდებიან ერთნაირი დილემის წინაშე — საპყრობილე ან სახიჩრობა(?)თი.



**ლანა ღვინჯილია**

სურათებზე: სცენები სპექტაკლიდან.

ჩვენი საქართველო

# ყალბისმქნელებო,

ქ. თბილისის გეგმა

შედგენილი 1735 წელს უფლისწული ვახუშტის მიერ



„ნუ სცნობს მარცხენე შენი, რასა იქმოდის მარჯვენე შენი".

მათე VI.3

უკანასკნელ პერიოდში, აქაოდა თავისუფალი გამოცემის უფლება გვაქვსო, გაჩნდა ბევრი ქართული კარტოგრაფიული ნაწარმი; გაგიხარია, კარგი რამ არის ეროვნული კარტოგრაფიული პროდუქციის გამომზეურება და შექმნა. ამ მხრივ, საჭიროა მართლა ეროვნული რუკებისა და გეგმების მიწოდება მოსახლეობის ფართო ნაწილისათვის. პარადოქსია, მაგრამ ეს საქმე თავს უნდა იდვას სპეციალისტმა, 4-5 წელი მაინც რომ სწავლობს ამ საქმეს, და არა შემთხვევითმა პირებმა. პური მეპურემ უნდა გამოაცხოს... ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ამ ბოლო დროს, ქუჩებში სახელდახელოდ შერჩეულ ადგილებში, სპეციალურ და ჟურნალ-გაზეთების ჯიხურებში, მაღაზიებში საკმაოდ მომრავლდა ქართული რუკები და გეგმები, რომლებზედაც წლების განმავლობაში ვოცნებობდით. სამწუხაროდ, უმეტესობა მდარე ხასიათისაა, ვერ აკმაყოფილებს ვერც მეცნიერულ, ვერც ტექნიკურ და ვერც ესთეტიკურ მოთხოვნებს.

ამჯერად თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ 1735 წლის ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ თბილისის გეგმაზე. იგი მოთავსებულია მისსავე ატლასის ერთ-ერთ რუკაზე. ეს არის თბილისის პირველი ტოპოგრაფიული გეგმა (მანამდე იყო ორი გეგმა-ნახატი შესრულებული შარდენისა და ტურნეფორის მიერ). გეგმის სათაურია: „საზე ტბილისისა ახლად დახაზული ამისვე მხაზველისა რომელ არს სატახტო ქართლისა: ნიშანნი ციფრით ზემორ წერილ არიან თვითეულად ყოფილისა". გეგმაზე (სიდიდე 18,2X20, სმ, მასშტაბი 1:18000) საკმაოდ სიზუსტითაა, გამოხატული ცალკეული უბნები და ადგილები; ნაჩვენებია მთები, მდინარეები, კვარტალები, მთავარი ქუჩები, ბაღები და სხვა. ვახუშტისეულ თბილისის გეგმაზე ქალაქის სამი ნაწილია აღნიშნული: თბილისი, კალა და ისანი. მიუხედავად ამისა, გეგმაზე კარგად ჩანს აღნიშნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მდებარე ადგილების ათვისება. მათ შორის გამოირჩევა ე. წ. „გარეთუბანი", რომელსაც ვახუშტის თქმით მეოთხე „ქალაქს" უწოდებენ. ცხადია, გეგმა ფერადია და იმ დროისათვის მაღალ მეცნიერულ და ტექნიკურ დონეზეა შესრულებული. ეს გეგმა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაიბეჭდა საფრანგეთში ცნობილი კარტოგრაფი ჟოზეფ ნიკოლა დელილის ინიციატივით. აღსანიშნავია, რომ რუკები, რომელზედაც თბილისის გეგმა არის გამოსახული, გასულ საუკუნეში სხვა წიგნებთან ერთად მოხვედრილა ყაზანის უნივერსიტეტის წიგნთსაცავში, რომელიც ოდესღაც გ. ა. პოტიომკინ თავრიზელს ჰქონდა მითვისებული (ამჟამად დაცულია საქართველოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში. თბილისის ვახუშტისეული გეგმა რამდენჯერმე დაიბეჭდა სხვადასხვა წიგნებში, როგორც ქართული ისე რუსული ვარიანტით (ფერადი ან შავ-თეთრი გამოსახულებით). ქართული გამოცემის საფუძვლად თვით ვახუშტის დედანს იღებენ, ხოლო რუსული ვარიანტისათვის იყენებდნენ ვინმე მხატვარ-ლითოგრაფისტ კ. ტომსონის მიერ გადარუსულებულ თბილისის გეგმას. ეს უკანასკნელი თბილისის მუზეუმშია დაცული, რაც საფუძვლად დაედო ბევრ რუსულ გამოცემას, მათ შორის ჩართულია ნ. ბადრიაშვილის „თბილისში" (1934).

ცხადია, ამ ისტორიული განძის ყოველი ახალი გამომზეურება სასიამოვნო და მისასალმებელია, მით უმეტეს ახლახან წიგნის მაღაზიებში გაჩნდა ვახუშტისეული თბილისის გეგმა (დედნის ზომაზე ორჯერ გადიდებული). გეგმის ქვემოთ აწერია «Т. Т. П. О. Цена догов. 45 коп." გიხარია, რომ ბოლო დროს ეღირსა ამ გეგმას ცალკე დაბეჭდვა და მასიურ მკითხველამდე მიტანა. მიუხედავად ამისა, თვალის ერთი შევლებითაც გული გწყდება, რომ იგი შავ-თეთრი ვარიანტითაა დაბეჭდილი. ვაი, რომ გეგმის გადათვალიერების შემდეგ გულის დაწყვეტა აღშფოთებაში გადადის. გამომცემლის მიერ შედგენილი სათაური და ლეგენდა ქართულია (თუმცა ვახუშტის თბილისის გეგმისათვის ასეთი სათაური არ მიუცია), გეგმაზე წარწერები რუსულადაა გაკეთებული; ზუსტი ასლია ზემოაღნიშნული კ. ტომსონის მიერ რუსული ვარიანტით გაკეთებული გეგმისა, რაც კიდევ მითითებულია გეგმის ჩარჩოს ქვედა მარჯვენა კუთხეში: «Худож. Литогр. К. Томсона в Тифлисе», ეს გარემოება კი სრულიადაც არ ამართლებს წინამდებარე გეგმის გამომცემლებს, რამდენადაც სათაურისა და ლეგენდის თარგმნის გარდა თვით გეგმაზე არსებული წარწერებიც უნდა გაქართულებულიყო. ცხადია, აქ იოლი გზაა არჩეული და პირდაპირ ასლია გაკეთებული.

წინამდებარე თბილისის გეგმას გამომცემლებმა სათაურად რუსულიდან თარგმნილი ვარიანტი მისცეს — „ქ. თბილისის გეგმა შედგენილი 1735 წელს უფლისწული ვახუშტის მიერ". თვით ვახუშტის მიერ გაკეთებული სათაურის შესახებ ზემოთ აღვნიშნე. ერთი რამ მაინც გაუგებარია, თუ ამ გეგმის ახლანდელ გამომცემლებს მაინცდამაინც ქართულად უნდოდათ გამოეცათ თბილისის ვახუშტისეული გეგმა, ნუთუ ასე ძნელი იყო მათთვის დედნის, ან ქართული ვარიანტის მოძებნა? მით უმეტეს, არც ლეგენდის ქართულ უხეირო თარგმანზე დაეხარჯებოდათ შრომა. ეს კიდევ არაფერი, მთავარია, რომ ვახუშტისეული თბილისის გეგმის ლეგენდის წარწერების 90 პროცენტი გადასხვაფერებულია, ხოლო ზოგიერთი სულ სხვა შინაარსითაა მოცემული. ცხადია, ყველას ჩამოთვლა ამ წერილში შეუძლებელია, მაგრამ რამდენიმეს მაინც გავაცნობთ — ვახუშტის უწერია „დედოფლის ბაღი", ახლანდელ გამომცემლებს „მეფის ასულის ბაღი"; ასევე — „მეფის დიდი ბაღი" და „მეფის დის ბაღი", „ტბილისის ხიდი ციხიდამ" და „თბილისის ლია ხიდი", „მთაბორი" და „მთა-ბარი", „ოქუანთ ხიდი" და „ოკოევების ხიდი", „მეფის ფუნდუკი" და „მეფის საჯინიბო", „ყარბულის ბაღი" და „ბაღი-კაიადგილის სახელწოდება (მთაბორ-კლდის უბანი და სხვა) სხვა სიტყვებად არის გაზრებული. ზოგ სახელწოდებაში არასწორად არის გადატანილი ქ-ს ნაცვლად კ, ღ-ს ნაცვლად გ და სხვ.

ახლა ისიც ვიკითხოთ, ვისთვის არის საჭირო დედანთან შეუსაბამო ასეთი გეგმა? იგი ან ქართულად უნდა გამოცემულიყო, ან რუსულად. ასეთი ნარევი — ქართულ-რუსული გეგმა ვის სჭირდება? მეცნიერისათვის ეს გეგმა სრულიად გამოუსადეგარია, რამდენადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვახუშტისეული თბილისის გეგმის წარწერების თითქმის 90% გადაკეთებულია.

ვახუშტი ბაგრატიონი, ქართულად აღზრდილი, შემდეგში იძულებით მოსკოვში მოხვედრილი, სულით ხორცამდე ქართველი იყო და არასოდეს შეუცვლია თავისი მრწამსი. მისი ყველა ნაშრომი ქართულად არის გაკეთებული. ქართულად შექმნა მან იმ დროისათვის მსოფლიო სტანდარტების დონეზე საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, საქართველოს ატლასები და სხვა. უფრო მეტიც, მრავალი რუსული და უცხოური ნაწარმოები თარგმნა ქართულად, მათ შორის, მსოფლიო გეოგრაფია და მსოფლიო ატლასი და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ... ასე, რომ ვახუშტი ბაგრატიონი მხოლოდ ქართულად აზროვნებდა და მისი მთავარი მიზანი იყო ქართველებისათვის შეექმნა სახელმძღვანელოები და სხვადასხვა ლიტერატურა. მან შესანიშნავად იცოდა რუსული ენა, მაგრამ თითქმის არაფერი შეუქმნია რუსულად. საქართველოს სიყვარულში დამაშვრალმა მეცნიერმა მოსკოვშივე ჰპოვა საუკუნო განსასვენებელი ისე, რომ ერთი წარწერიანი ქვა არ ეღირსა, რათა შთამომავლობას არ დაეკარგა. მალე ამ

# შეჩერდით...



თბილისის გეგმა, შედგენილი ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს.[1]

1. მეფის სასახლე, 2. დედოფლის სასახლე, 3. კარის საყდარი, 4. მეფის მოედანი, 5. ბატონიშვილის სასახლე, 6. ანჩისხატი, 7. ამილახვრის სახლი, 8. ბატონიშვილის სახლი, 9. ღვარსაბის სახლი, 10. მუხრანბატონის სახლი, 11. სიონი, 12. თბილელის ქარვასლა, 13. მელიქის ქარვასლა, 14. მეფის ფუნდუკი, 15. ციხის მოედანი, 16. წმ. ნიკოლოზის საყდარი, 17. ციხის საყდარი, 18. მაღალი ციხე; 19. სტამბოლის გოდოლი, 20. შაისტახტი, 21. კოჯრის კარი, 22. ღილმის კარი, 23. მეიდნის კარი ხიდით, 24. ქვემო კარი ხიდით, 25. ვანქი, 26. სომხების სასაფლაო, 27. მეიდნის სასახლე, 28. მეიდანი ანუ ასპარეზი, 29. ყაიბულას ბაღი, 30. მეფის საბაზიერო, 31. თათრების სასაფლაო, 32. ციციშვილის სახლი, 33. ქაშვეთი, 34. კალობანი, 35. არაგვის ერისთავის სახლი, 36. სომხის საყდარი, 37. ბეგანის ქარვასლა, 38. მამასახლისის ბაღი, 39. დედოფლის ბაღი, 40. მეფის დის ბაღი, 41. ამარათი, 42. თბილელის ბაღი, 43. სოლოლაკის წყალი, 44. იმიტუტრუქი, 45. მთაწმინდა, 46. თბილისის ხიდი ციხიდან, 47. თბილისის ბაღი ხეიდაბადისა, 48. სალათგარი, 49. მთაბორი, 50. თათრის სასაფლაო, 51. ციხის ბაღი, 52. ოქაანთ ხიდი, 53. წავკისის წყალი, 54. კრწანისის ბაღი, 55. მეტეხი ციხით, 56. სომხის საყდარი, 57. ბერძნის საყდარი, 58. მელიქის საყდარი, 59. ბებუთას ბაღი, 60. სომხის საყდარი, 61. ჩუღურეთი, 62. კვირაცხოველი, 63. ახალი საყდარი, 64. მეიდნის ახალი ბაღი. 65. მამასახლისის საყდარი, 66. სომხის საყდარი, 67. ლათინთ საყდარი, 68. ბეგანის ბაღი, 69. მოლნისი, 70. კლდის ეკლესია, 71. დაბალი ციხე, 72. მაღალი ციხე, 73. ავლაბრის ხიდი, 74. ავლაბრის კარი.

[1] გეგმა ამოხაზულია 1880 წელს გამოქვეყნებული კრებულიდან: „Тифлис по однодневной переписи, произведенной 25 марта 1876 года". იხ. „Сборник сведений о Кавказе", том VI. Тифлис, 1880 г.

ბულა", „საბაზიერო მეფის" და „მეფის საშევარდენო ეზო", „სალოლაკის წყალი" და „სოლოლაკის ნაკადული", „ზვალანგარი" და „სალათგარი", „ციხე დაბალი" და „ქვემო ციხე-სიმაგრე", „მაღალი ციხე" და „ზემო ციხე-სიმაგრე"; „კლდისუბანი" და „კლდიანი უბანი", „ლელე" და „ხრამი", „თხრილი" და „ლარტაფი", „გორა" და „მთა" და სხვა. როგორც ხედავთ, ბევრი მათგანის შინაარსი სრულიად შეცვლილია, ხოლო ზოგი

დიდი მეცნიერის დაბადების 300 წლისთავი უნდა აღვნიშნოთ და ასეთი გამოცემებით მას შეურაცხყოფას ვაყენებთ.

დაბოლოს, თუ ჩვენი წინაპრების დიდი რუდუნებით შესრულებული კარტოგრაფიული ნაწარმოებების ნორმალური გამოცემა არ შეგვიძლია, ისევ სჯობს წიგნთსაცავებსა და არქივებში უძრავად ელაგოს, ვიდრე არ ვისწავლით მათ სათანადო დონეზე გამოცემას.

**კობა ხარაძე**

## გახსენება

### დათო საკანდელიძე

ამ დღეს. შენს საფლავზე ამოვედი, ჩვეულებისამებრ გასული თვის ამბები უნდა მომეთხრო შენთვის... ჭირს რა გამოგვილევს ქართველებს...

ძმობის გატეხილი ფიცი აფხაზეთში, სისხლისღვრა სამაჩაბლოში, ღვთის რისხვასავით თავს დატეხილი მიწისძვრა, ახოხით დანგრეული ქართული ფუძე-ჭერი, დაქცეული იკორთა, გუმბათგახეთქილი ნიკორწმინდა...

ჭირს ლხინი მოსდევსო მუდამ, უთქვამს ბრძენკაცს... კაცი იმედით ცოცხლობს, ჩემო დათო და დღესაც გვაიმედებდა ხვალინდელი დღის გაზაფხული საქართველში... იმედის გაზაფხული.

დათო საკანდელიძეს დღეს 24 წელი შეუსრულდებოდა.

უკვე ერთი წელია, რაც ხაკა ჩვენს გვერდით აღარ არის.

როგორი ტკივილის მომგვრელია ჩვენთვის, ეს ორი ფრაზა, ჩემო დათო, რა ახლო და შორეულია ეს ორი ფატალური თარიღი.

1984 წელს თბილისის 102-ე საშუალო სკოლა ერთად დავამთავრეთ, შემდეგ იყო წარმატებული გამოცდები და... „ჭარი", ვაი, რომ მაშინ მართლაც „ხავალდებული" და შენთვის საბედისწერო...

იმედის ნაპერწკალი ედგა დედაშენს თვალში, ჩვენც გვეიმედებოდა, რა უნდა გაუჭირდეს კარგ სპორტსმენს, მოჭიდავეს და ისიც ქართველს, მაგრამ სხივური დაავადება მზაკვრულად შემოგეპარა და ღრმად გაიდგა ფესვები შენს ჯანმაგარ სხეულში...

შემდეგ იყო ექვსთვიანი მკურნალობის პერიოდი რადიაციული კვლევის ცენტრში. მაგრამ ვაი, რომ ფუჭი აღმოჩნდა ყველაფერი...

ხშირად მიფიქრია, რა იყო შენში ისეთი, ანდამატივით რომ გვიზიდავდა მეგობრებს. უშუალობა, პატიოსნება, სიკეთე და კიდევ... კიდევ შენი ბავშვური ღიმილი...

დღეს შენი დაბადების დღეა, ჩემო დათო, დღესაც ამოვალთ შენს საფლავზე ბიჭები... თითო ცრემლნარევ სიტყვას ვიტყვით, მერე ჩვენს თავს სიტყვას მივცემთ, რომ ძმობა გავუწიოთ შენს ძმას, ლევანს, საქართველოს სადიდებლად ვაკეთოთ საქმე კეთილი, შენს წილ და ჩვენს წილ.

ვინ, ვინ და შენ კი იცი, ჩემო დათო, საფლავზე მიცემული სიტყვის გატეხვა არ ეგების!..

თანაკლასელების სახელით
**ბია ჯიქია**

## შენი დაბადების დღეა, ნიკა!

ჩვენო მონატრებულო ვაჟკაცო, დღეს ხომ ოცდახუთისა გახდებოდი, თავზეხელაღებული მილიციელის მიერ ნასროლი ტყვია რომ არა... მარტის იმ თოვლიან საღამოსაც ღიმილით, კოცნით დაგვემშვიდობე და ჩვეული ხალისით გახვედი სახლიდან, დაბადების დღეზე მიგიხაროდა. ვაგლახ, რომ არ გაცალეს სიყვარული, ბედნიერება, სიცოცხლე....

სპორტი გიტაცებდა, ფეხბურთი გიყვარდა, ლამაზად თამაშობდი... ბავშვობის ულამაზესი ხანა ხომ „ავაზასთან" და ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლასთან გაკავშირებდა...

საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებობდი ნიკა! ქართველ შევარდენთა ლეგიონის და მთიელთა საძმოს ქომაგი იყავი, ამიტომ მიგაცილებდნენ უკანასკნელ გზაზე მათი წარმომადგენლები, ამიტომ იდგნენ შენს სამარესთან თავდახრილნი სამგლოვიარო დროშებით...

გაივლის ხანი, საქართველო აყვავდება. შენ ყველა გაგიხსენებს, ლამაზს, მოყვასთა ერთგულს, უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტს, მშობლების ერთადერთ ძეს — ნიკა (კოლია) ხუციშვილს.

დღეს კი ცრემლებს ვიმშრალებთ და ისე მოგილოცავთ დაბადების დღეს...

**შენი დაიკო და მშობლები**

ეროვნული ბიბლიოთეკა


## კოოპერატივების, სააქციო საზოგადოებათა, ბირჟების, საბროკერო კანტორების, სახელმწიფო, კერძო და მცირე საწარმოთა, ასოციაციების და კონცერნების ხელმძღვანელთა, მენეჯერთა და კომერსანტთა საყურადღებოდ

### თქვენთვის და მხოლოდ თქვენთვის

შეუცვლელი სამაგიდო წიგნი „ტიპიურ ხელშეკრულებათა კრებული" (რუსულ ენაზე) გამოსცა მცირე ტირაჟით სამეცნიერო-საწარმოო საგარეო ეკონომიკურმა ასოციაცია „რიკოთმა".

წიგნში შესულია თითქმის ყველა სახის სამეურნეო: საბირჟო, საბროკერო, საბაჟო, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების, კერძო პირებთან ურთიერთობის, სამეცნიერო, აუქციონთა, სალიცენზიო, საშუამავლო და სხვა საქმიანობისათვის საჭირო ხელშეკრულებათა ტიპიური მოდელები.

**ამ კრებულის მფლობელი ხვალინდელ დღეს იმედიანად შესცქერის. წიგნი იყიდება კომერციული ფირმა „უნივერსალის" საფირმო მაღაზიაში კოსტავას ქუჩა №37-ში.**

## მცირე სამრეწველო საწარმო «სხივი»

სხივი

დაზოგავთ სახსრებს და დროს თუ მცირე სამრეწველო საწარმო „სხივი"-ის საშუალებით შეიძენთ: საქარხნო ფასებს, მანქანა დანადგარებს, კომპიუტერულ ტექნიკას, ფართო მოხმარების საქონელს საბითუმო რაოდენობით; ლაზერულ შრიფტებს (ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე).

**მოგიმზადებთ:** წიგნების, ჟურნალების, გაზეთის ორიგინალ მაკეტებს (ქართული შრიფტების გარნიტურა განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია); ორიგინალური დიზაინით ფირმის ემბლემას, ინდივიდუალურ სავიზიტო ბარათებსა და ნებისმიერი ტიპის ბლანკებს.

**შეგიქმნით:** ლაზერული შრიფტების თქვენთვის სასურველ გარნიტურებსა და ზომებს; პროგრამებს ენებზე: ASSEMBLER, C, PASCAL, BASIC და სხვა; ქართულ ენაზე მონაცემათა ბაზების მართვის თანამედროვე სისტემებს: ISIS, R:base, d:BASE, FOX:Base, აგრეთვე თქვენთვის სასურველ ინფორმაციულ ბანკებს; წარმოება-დაწესებულებებისათვის დამფუძნებელ დოკუმენტაციას.

**შეგიკეთებთ:** კომპიუტერულ, ელექტრულ და ნებისმიერი ტიპის ციფრულ ტექნიკას.

**ჩვენი ფასები საბაზროზე დაბალია, მომსახურება სწრაფი.**

**მოსაშვილის ქ. 24**

**მცირე სამრეწველო საწარმო „სხივი"**

**ტელეფონები: 22-69-15, 22-69-12**

### იყიდება

● ფინური ავეჯი „მიკადო". კედელი — თავისი რბილი ავეჯით.
ტელ: 31-26-27.

● ფუტკრის შხამის ასაღები აპარატი. ტელ.: 62-40-23.

● 1. სამოთახიანი ბინის მასიური ხის კარ-ფანჯრები და ლოჯია.
2. 10 მ² მუხის პარკეტი.
3. ბრონზეს ჭაღი 13 სანთლიანი.
ტელ: 51-71-79 იკითხეთ რეზო ან მედიკო.

● აგარაკი სახლით და გარაჟით ასურეთში.
ტელ.: 36-26-78.

● ავტომობილი კაზ-4540 (კოლხიდა) მისაბმელით, დიზელის ძრავით ტრაქტორი ტ-150 მისაბმელით.
ტრაქტორი ტ-16 — თვითდამტვირთი-თვითმცლელი.
ცნობებისათვის დარეკეთ საღამოს საათებში ტელეფონზე 39-02-98.

### ვიყიდი

● ერთ ან ოროთახიან ბინას.
დარეკეთ 34-05-14 სამუშაო საათებში.

● ერთ ან ოთახნახევრიან იზოლირებულ ბინას თბილისის ნებისმიერ რაიონში.
ტელ: 37-06-64.

● კონდენციონერს. ტელ: 93-20-76. 10-00 სთ-დან 20-00 სთ-მდე.

● ბლოკებისათვის ბეტონის დამამზადებელ დანადგარს.
დარეკეთ ქ. ტყიბულში ტელეფონზე 21-61 სამუშაო საათებში

### ვაქირავებ

● კოოპერატივისათვის ფართობს (60-100 კვ.მ) ტელ.: 37-00-07.

### ვიქირავებ

● ერთ ან ოროთახიან კეთილმოწყობილ ბინას მეტროსთან ახლოს. ტელ.: 93-20-76 ყოველდღე 9 სთ-დან 21 სთ-მდე.

### ვცვლი

● ამბროლაურიდან ოროთახიან იზოლირებულ ბინას თბილისის ნებისმიერ რაიონში ოროთახიანზე.
ტელეფონები: 67-90-84 თბილისში, 12-11-48 რუსთავში.
მისამართი: თემქის დასახლება. IV მიკრორაიონი. IV კორპუსი. მე-3 სადარბაზო. მე-3 სართული. გივი ჩიხრაძე.

### ვიზების სათარგმნელად

მიმართეთ სერვის ბიუროს. ვიზების თარგმნა და დამოწმება ხდება ერთ დღეში, ასევე შეგიძლიათ შეიძინოთ გამგზავრებისათვის საჭირო ანკეტები.
მისამართი: ონიაშვილის ქ.№11 (გაგარინის მოედანთან).
ტელ: 38-50-78

## მცირე საწარმოს შექმნის მსურველთა საყურადღებოდ!

საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტი" უმოკლეს ვადაში შეიმუშავებს თქვენთვის კერძო (საოჯახო), კოოპერაციული, საიჯარო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სხვა ფორმის მცირე საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტაციას და დაიცავს თქვენს ინტერესებს საწარმოს მარეგისტრირებელ სახელმწიფო ორგანოებში.

ჩვენი მისამართია: **380007, ქ.თბილისი, ლერმონტოვის ქ. №18, IV სართული, საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტი"**

ტელეფონები: **99-02-76, 93-99-70**

**12 საათიდან 17 საათამდე.**

წარმოებისა და მომსახურეობის სფეროს კოოპერატორთა თბილისის ნაძალადევის რაიონული გაერთიანება გაცნობებთ, რომ გასაყიდი აქვს 8 ცალი „ზილ-131" მარკის სატვირთო ავტომობილი.

ცნობებისათვის დარეკეთ: 61-53-22
61-53-25
61-06-77

ან მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი გურამიშვილის გამზირი № 72 მეტრო „თემქა"-სთან.

### საწარმოების, ორგანიზაციების, კოოპერატივების ხელმძღვანელების და კერძო პირების საყურადღებოდ!

თუ თქვენ ჯერ კიდევ არ შეგიძლიათ "CANON"-ის ტიპის გასამრავლებელი მანქანები და ფაქსიმილური აპარატები, რომელნიც ხასიათდება მაღალი საიმედობით, მარტივი მომხმარებლობით, უმაღლესი ხარისხით და თანამედროვე მახასიათებლებით, შეგიძლიათ მიმართოთ სამეცნიერო სამრეწველო საწარმო „ეგრისს", რომელსაც გააჩნია სააგენტო ხელშეკრულება ფირმა "CANON"-თან და წარმოადგენს ერთადერთ და სრულუფლებიან წარმომადგენელს ამიერკავკასიის რეგიონში.

სამეცნიერო სამრეწველო საწარმო „ეგრისი" დაგეხმარებათ სასურველი მოდელის ფაქსიმილური აპარატის: FAX-80; FAX-170; FAX270S; FAX-450; FAX-A501; FAX-750; FAX-L770; და გასამრავლებელი მანქანების FC-2; PC-II; NP-1010; NP-1215; NP-2020; NP-6650; CLC-500 შერჩევაში.

გადასახადი ვალუტაზეა.

ჩვენი მისამართია: **380086, ქ.თბილისი, ჯიქიას ქუჩა №115.**

ტელეფონი: 31-34-73, 31-30-67.

ტელექსი: 212260 GRAF SU. ტელეტაიპი: 212596 AATP.

ყოველდღე 9⁰⁰ საათიდან 17⁰⁰ საათამდე, დასვენების დღეების გარდა.

მცირე საწარმო „შრომა" დაგეხმარებათ შეიძინოთ სამრეწველო პარტია:
— ოლიფა ნატურალური К-3, К-4, К-5 300 ტონამდე.
— უაიტ-სპირიტი ГОСТ 3134-78 180 ტონამდე.
თითო გარიგება არანაკლებ 60 ტონისა.
ტელეფონი: 95-81-56.

თუ გსურთ შეიძინოთ ჩამოსასხმელი ღვინო და ჭაჭის არაყი შედარებით დაბალ ფასებში, მიმართეთ სულხანიშვილის ქუჩაზე მდებარე მაღაზია **„კახურ ღვინო"-ს.** (დახურული ბაზრის ტერიტორიაზე).



ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 93-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.